საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 36 (2149) | ხუთშაბათი, 29 თებერვალი, 1996 წელი. | ფასი 30, ქალაქგარეთ 35 თეთრი.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 20 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის შესახებ

საქართველოს ტერიტორიაზე კასპიის ზღვის, ამიერკავკასიის, ბათის, შუა აზიის რესპუბლიკების, აგრეთვე სხვა ტერიტორი- დან ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისათვის საჭირო ხელ- წყობი პირობების შექმნის მიზნით, საქართველოს კანონმდებ- ბის შესაბამისად და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 95 წლის 11 ნოემბრის №477 ბრძანებულების თანახმად:

1. ჩამოყალიბდეს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორ- რაცია სააქციო საზოგადოების ფორმით, რომლის ყველა საწყისი ია გადაეცემა სახელმწიფოს.

2. საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულს გ. ჭან- რიას, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს საქართველოს თობის საერთაშორისო კორპორაციაში, დაეკისროს სააქციო ზოგადოება „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორა- " სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციების მართვა ბების უფლების გარეშე.

3. სააქციო საზოგადოება „საქართველოს ნავთობის საერთაშო- ო კორპორაციის" საწესდებო კაპიტალში გათვალისწინებულ ს ქვემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო ქონების ფლობის, სარ- ლობის, მართვის, ექსპლუატაციის, რეკონსტრუქციის უფლება, შორის ყველა სხვა უფლება, რომლებიც საჭიროა მისთვის, როგორც „მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელ- რულების" ხელმომწერი მხარისათვის, აგრეთვე უფლება მი- ს ამ ქონებიდან წარმოქმნილი ყველა სახის შემოსავალი. აღ- ნული უფლებები გადაეცეს საქართველოს ნავთობის საერთაშო- ო კორპორაციას არანაკლებ „მილსადენის მშენებლობისა და ლუატაციის შესახებ ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვადი- ამ ხელშეკრულების შესაძლო პროლონგაციის გათვალისწი- ბით ან ოცდაათი წლით:

ა) სამგორ-ბათუმის არსებულ მილსადენზე, რომლის გარე დია- ტრია 530 მმ;

ბ) ყველა მოწყობილობაზე, რომელიც დაკავშირებულია ნავთო- მიღებასთან, შენახვასთან, გაზომვასთან, შემოწმებასთან, გა- გზავნასთან, კონტროლთან, გადატუმბვასთან, წნევის დაწევასთან ყველა სხვა საშუალებასა და მოწყობილობაზე, რომლებიც ფუნ- ქციურად დაკავშირებულია აღნიშნულ მილსადენთან;

გ) მიწაზე, რომელიც ხმარდება მილსადენის მშენებლობასა და ლუატაციას, მათ შორის ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე მილსა- ნის მთელი სიგრძის გასწვრივ, აგრეთვე სხვა ტერიტორიაზე, მლის გამოყენება საჭიროა ხსენებული ქონების ფლობის, სარ- ლობის, მართვის, ექსპლუატაციისა და რეკონსტრუქციის უფ- ბის განხორციელებისათვის.

4. სააქციო საზოგადოება „საქართველოს ნავთობის საერთაშო- სო კორპორაციამ" წარმოადგინოს საქართველოს მხარე (საქარ- ლოს მაგისტრალური ნავთობსადენების საწარმოო გაერთიანე- ნაცვლად) „მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შე- ებ ხელშეკრულებაში", რომელიც დაიდება თანახმად 1995 წლის აგვისტოს ხელმოწერილი ოქმისა საქართველოს მთავრობას, ერბაიჯანის მთავრობას, საქართველოს მაგისტრალური ნავთობ- დენების საწარმოო გაერთიანებას, აზერბაიჯანის სახელმწიფო თობის კომპანიისა და აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერა- ო კომპანიის შორის.

5. ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარების, ამ დარგში ელმწიფოს სტრატეგიული პოლიტიკის გატარების უზრუნველ- ფის, უცხოეთის კომპანიებთან და თანამშრომლობისა და მათი ესტიციების მოზიდვის, საჭირო ხელსაყრელი პირობების შექ- მიზნით დაევალოთ სათანადო ორგანოებს ხელი შეუწყონ სა- თველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის საქმიანობას, თა იგი გარდაიქმნას საჯაროდ ანგარიშვალდებულ, ღია ტიპის აქციო საზოგადოებად.

საქციო საზოგადოება „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო რპორაციის" ყოველწლიური საფინანსო შემოწმება მოხდეს და- უკიდებელი აუდიტორის მეშვეობით საერთაშორისო სტანდარ- ბის შესაბამისად, შედეგების საჯარო გამოქვეყნებით, მეწარმეთა სახებ კანონის საფუძველზე.

6. გაუქმდეს ნებისმიერი სხვა მხარისათვის საქართველოს მთავ- ობის მიერ ადრე მინიჭებული ყველა უფლება, რომელიც ეწი- აღმდეგება ამ ბრძანებულებას.

ე. შევარდნაძე.

ოფიციალური ფოსტა

მის აღმატებულებას
ატონ ედუარდ შევარდნაძეს
აქართველოს რესპუბლიკის
რეზიდენტს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

დიდი სიამოვნებით გაცნობებთ თქვენ იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიამ და აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიამ მიიღეს გადაწყვეტილება იმ პროექტის რეალიზაციის შესახებ, რომელიც აღნიშნულია საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოს მაგისტრალური ნავთობსადენების საწარმოო გაერთიანების, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის და აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის მიერ 1995 წლის 31 აგვისტოს ხელმოწერილი ოქმის დებულებებში. ეს გადაწყვეტილება აზერბაიჯანის მხარეებმა მიიღეს აზერის, ჩირაგის საბადოების და კასპიის ზღვის აზერბაიჯანული სექტორის გიუნეშლის ღრმაწყლიანი საბადოს ერთობლივი დამუშავების ხელმძღვანელი კომიტეტის თათბირის შედეგად. თათბირის მსვლელობაში მიღებულია დადგენილება პროექტის დამტკიცებისა და საპროექტო შეთანხმებათა ხელმოწერის თაობაზე. პრეზიდენტის 1996 წლის 20 თებერვლის № 178 ბრძანებულების თანახმად სააქციო საზოგადოება „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო „კორპორაცია" (ნაცვლად საქართველოს მაგისტრალური ნავთობსადენების საწარმოო გაერთიანებისა) წარმოადგენს საქართველოს მხარეს „მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულებაში".

ეს წერილი წარმოადგენს შეტყობინებას, თანახმად ზემოაღნიშნული ოქმის მე-2 პუნქტისა, რომ აზერბაიჯანის მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება პროექტის რეალიზაციისა და შესაბამისი საპროექტო შეთანხმებების შესრულების თაობაზე.

პატივისცემით

ნ. ალიევი,
აზერბაიჯანის რესპუბლიკის
სახელმწიფო ნავთობის
კომპანიის პრეზიდენტი

ტ. დ. ადამსი,
აზერბაიჯანის საერთაშორისო
საოპერაციო კომპანიის
პრეზიდენტი.

1996 წლის 22 თებერვალი.

ბელარუსი მხარს უჭერს
საქართველოს ტერიტორიულ
მთლიანობას

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს წერილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„ბელარუსის რესპუბლიკას, რომელიც ადასტურებს თავის ერთგულებას ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისადმი, აფხაზეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიაჩნია.

ვეთანხმები იმას, რომ კონფლიქტის მოწესრიგების ზუსტი, ქმედუნარიანი მექანიზმის შექმნა არის მისი გადაწყვეტის ერთადერთი საიმედო გზა. ვიზიარებ თქვენს შეშფოთებას იმის გამო, რომ მოუწესრიგებელი არ არის აფხაზეთის კონფლიქტი. დარწმუნებული ვარ, რომ მისი გადაჭრისათვის გამიზნულ პოლიტიკურ დიალოგს მოჰყვება ურთიერთმისაღებ მორიგებათა მიღწევის პრაქტიკული შედეგები".

წერილის დასასრულს ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონ ედუარდ შევარდნაძეს უსურვებს წარმატებებს ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობის დამყარებაში, ხოლო ქართველ ხალხს — მშვიდობასა და კეთილდღეობას.

საქინფორმი.

მიღება

საქართველოს და იაპონიის თანამშრომლობა მომავალში უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს

27 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო იაპონიის საელჩოს წარმომადგენლები, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ქოძი ვატანაბეს ხელმძღვანელობით, რომელიც იმავდროულად არის ელჩი რუსეთის ფედერაციაშიც.

როგორც ბატონმა ქოძი ვატანაბემ განაცხადა, საქართველოში, ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში მისი ვიზიტის მიზანია უკეთ გაეცნოს რეგიონში არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას და მიღებული შთაბეჭდილებანი გაუზიაროს იაპონიის ხელმძღვანელობას, რათა ამ უკანასკნელმა გააფართოოს თანამშრომლობა კავკასიის ქვეყნებთან. იაპონიის ელჩის აზრით, საქართველოში მის წინანდელ ვიზიტთან შედარებით ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა და ამ ეტაპზე იაპონიის მთავრობა განიხილავს საქართველოსთან ღრმა თანამშრომლობის პერსპექტივებს. უახლოეს მომავალში ჩვენს ქვეყანაში ჩამოვა იაპონიის ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას და ქართველ კოლეგებთან ერთად შეიმუშავებს ორი ქვეყნის ფართო თანამშრომლობის მექანიზმს.

საქართველოს პრეზიდენტი მიესალმა იაპონიის ექსპერტთა ჯგუფის შესაძლო ვიზიტს ჩვენს ქვეყანაში და გამოთქვა რწმენა, რომ იაპონია—საქართველოს ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო დიდ მასშტაბს შეიძენს.

იმავე დღეს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა მიიღო იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ქოძი ვატანაბე.

საქართველოს ხელისუფლება მხარს უჭერს იაპონიასთან, როგორც აზია — წყნარი ოკეანის რეგიონის წამყვან სახელმწიფოსთან ფართომასშტაბიანი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობების განვითარებას, რის წინაპირობასაც ქმნის საქართველოში დღესდღეობით შექმნილი სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, განხორციელებული სერიოზული ეკონომიკური, საფინანსო, საბანკო, საკანონმდებლო რეფორმები. ეს პროცესები შესაძლებელს ხდის ორი ქვეყნის ურთიერთობა, რომელიც დღევანდლამდე ჰუმანური დახმარებით განისაზღვრებოდა, სერიოზულ პარტნიორულ თანამშრომლობაში გადაიზარდოს.

ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა მადლიერებით აღნიშნა ის დიდი მხარდაჭერა, რომელსაც იაპონია სხვა დონორი სახელმწიფოების მსგავსად უწევს საქართველოს.

იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან შეხვედრის შემდეგ გაიმართა გაფართოებული შეხვედრა იაპონიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმების „მიცუბისის", „ჰონდას", „ჰიტაჩის", „სუმიმოტოს", „ნიტიმენისა" და სხვათა წარმომადგენლები.

იაპონიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრამ ცხადყო ის დიდი დაინტერესებაც, რომელსაც უცხოელი ბიზნესმენები იჩენენ საქართველოსადმი, როგორც სატრანზიტო ქვეყნისადმი.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

სურათზე: საქართველოს პრეზიდენტთან მიღების დროს.
ბესიკ კეზერაშვილის და ზეინაბ ბარნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გენერალური პროკურორის პოსტზე მხარს უჭერენ ჯამლეთ ბაბილაშვილის კანდიდატურას

27 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ყოფილ შენობის სხდომათა დარბაზში გაიმართა პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების და საპროცედურო საკითხთა კომიტეტების ერთობლივი სხდომა. საკომიტეტო მოსმენაზე განიხილეს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის კანდიდატურა. როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გენერალური პროკურორის პოსტზე წარმოადგინა ჯამლეთ ბაბილაშვილის კანდიდატურა.

—ბატონმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა გააკეთა მოხსენება მისი ხელმძღვანელობის პერიოდში პროკურატურის მიერ განხორციელებული მუშაობის შესახებ, ილაპარაკა იმ გეგმებსა და ამოცანებზე, რომელთა განხორციელებასაც მას მოუხდება, თუკი პარლამენტი გენერალური პროკურორის პოსტზე მხარს დაუჭერს მის კანდიდატურას.

გენერალური პროკურორის პოსტზე წარმოდგენილმა კანდიდატმა უპასუხა პარლამენტართა მრავალრიცხოვან შეკითხვას. საკომიტეტო მოსმენაზე აღინიშნა ის ღვაწლი, რომელიც საქართველოს პროკურატურას, რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს მიუძღვის ქვეყანაში სტაბილიზაციის, კანონიერებისა და წესრიგის დამყარებაში. საბოლოოდ, ორივე კომიტეტის ოცდაოთხივე წევრმა, რომლებიც კენჭისყრაში მონაწილეობდნენ, მხარი დაუჭირა ჯამლეთ ბაბილაშვილის კანდიდატურას გენერალური პროკურორის პოსტზე.

ამ საკითხს უახლოეს დროში განიხილავს პარლამენტის პლენარული სხდომა.

საქინფორმი.

აღდგა 8 მარტი- ქალთა დღე

დიპლომატიური ქრონიკა

რწმუნებათა სიგელების გადაცემა

სურათზე: რწმუნებათა სიგელების გადაცემის დროს.
ბესიკ კეზერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

27 თებერვალს ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში აქბარ ამინიანმა ელჩობის დამადასტურებელი რწმუნებათა სიგელები გადასცა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

ახლადდანიშნულმა ელჩმა ედუარდ შევარდნაძეს ირანის პრეზიდენტის რაფსანჯანის გულთბილი მოკითხვა გადასცა და აღნიშნა, რომ ყოველმხრივ შეუწყობს ხელს საქართველოსა და ირანს შორის არსებული მეგობრული და საქმიანი ურთიერთობის გაღრმავებას.

ცერემონიის შემდეგ გაიმართა საქართველოს პრეზიდენტისა და ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის საუბარი.

ედუარდ შევარდნაძე გულთბილად მიესალმა აქბარ ამინიანის ელჩად დანიშვნას საქართველოში, აღნიშნა, რომ ირანთან კარგი ურთიერთობა ისტორიულად იყო და იქნება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება.

ირანის ელჩმა ედუარდ შევარდნაძეს საჩუქრად გადასცა ირანული ხალიჩა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

საპატიო მოქალაქეობის მინიჭების ცერემონია

27 თებერვალს გაიმართა საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მინიჭების პირველი ცერემონია. ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა ქალბატონ ქეთევან ბაგრატიონ-ორსინისა და ქალბატონ ირენ გედევანიშვილს.

საპატიო მოქალაქეობის დამადასტურებელი სიგელებისა და პასპორტების გადაცემის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ დიდი შეფასება მისცა ქალბატონ — ორსინისა და ქალბატონ გედევანიშვილის უდიდეს დახმარებას საქართველოსადმი, მათ წვლილს საქართველო-იტალიისა და საქართველო-საფრანგეთის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებაში. ის, რასაც თქვენ აკეთებთ საქართველოსათვის, ნამდვილი გმირობაა, თქვენ უყვარხართ ჩვენს ქვეყანაში, პატივს გცემენ და ამის დასტურია დღევანდელი დღეც, — აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდნენ სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, სახელმწიფო კანცელარიის უფროსი პეტრე მამრაძე, საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბერნარ ფასიე, საქართველოს ელჩი იტალიაში ბეგლარ თავართქილაძე, სხვა ოფიციალური პირნი.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

სურათზე: საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მინიჭების პირველი ცერემონია.
ბესიკ კეზერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ხელმძღვანელების თათბირი

28 თებერვალს თბილისში გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ხელმძღვანელების თათბირი.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

დაწვრილებითი ანგარიში შემდეგ ნომერში.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ქალთა დღის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
1. 8 მარტი აღინიშნოს როგორც ქალთა დღე.
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1996 წლის 28 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის ხელის შეწყობის ღონისძიებათა და პარლამენტის წევრის სტატუსის განმტკიცების შესახებ"

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისა და საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის პარლამენტის თითოეული წევრისათვის საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტიდან გამოიყოს ყოველთვიურად 100 ლარი.

2. ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში შეიქმნას საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბიურო. ბიურო იურიდიული პირია სამეწარმეო საქმიანობის უფლების გარეშე, აქვს ანგარიში ბანკში და ბეჭედი თავისი დასახელებით. მის ანგარიშზე ჩაირიცხება ამ ოლქში მაჟორიტარული წესით არჩეული პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობისა და მათი ინტერესების დასაცავად ყოველთვიურად გამოყოფილი 100 ლარი.

3. პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბიუროს საქმიანობა რეგულირდება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

4. პარტიული სიებით ან ბლოკებით არჩეულ პარლამენტის წევრთა, ამომრჩევლებთან ურთიერთობის სათანადო ორგანიზაციისათვის, პარლამენტში მათი რაოდენობის პროპორციულად, თითოეული წევრისათვის გამოიყოს და შესაბამისი პარტიის ანგარიშზე ჩაირიცხოს ყოველთვიურად 100 ლარი.

5. საქართველოს პარლამენტის იმ წევრებისათვის, რომლებსაც გაუგრძელდათ სადეპუტატო უფლებამოსილება, ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისა და საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი თანხა ჩაირიცხოს სპეციალურ ანგარიშზე. ამ თანხის განკარგვის წესს ადგენენ ზემოაღნიშნული პარლამენტის წევრები და მას განკარგავს მათ მიერ უფლებამოსილი პირი.

6. „პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან საპარლამენტო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პარლამენტის წევრი უზრუნველყონ სპეციალისტების კონსულტაციებითა და ტექნიკური მოწყობილობით, დაეხმარონ ისარგებლოს გასამრავლებელი ტექნიკით, კავშირისა და ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებით.

7. მმართველობის ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ პარლამენტის მაჟორიტარ წევრთა ბიუროებსა და პარტიული სიებით არჩეულ პარლამენტის წევრთა შესაბამისი პარტიის ოფისებს სამუშაო ოთახებით, სამეურნეო ინვენტარით, კავშირგაბმულობისა და სხვა აუცილებელი საშუალებებით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1996 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" 1995 წლის 8 დეკემბრის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს 1995 წლის 8 დეკემბრის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" კანონპროექტთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 22 თებერვლის სხდომაზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების გასათვალისწინებლად საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტთან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნისა და დაინტერესებული დეპუტატების მონაწილეობით.

საქართველოს პარლამენტის სხდომაზე კანონპროექტის განხილვა განახლდეს ამ ჯგუფის მუშაობის დამთავრების შემდეგ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1996 წლის 22 თებერვალი.

რუსეთის პრესის სარკეში

■ ხელისუფლებს „ხალხის მტრები“ დასჭირდებათ?
■ პოპულიზმი მთავარი იარაღია
■ ბაქო შეიძლება ქუვეითად იქცეს

გაზეთ „სეგოდნიას“ „მოულოდნელობად“ მიაჩნია პაველ გრაჩოვის ვარაუდი აფხაზეთიდან რუს მშვიდობისმყოფელთა გაყვანის თაობაზე. ორივე დაპირისპირებული მხარე დღემდე დარწმუნებული იყო, რომ მშვიდობისმყოფელთ მანდატს გაუგრძელებდნენ თანამეგობრობის საგარეო საქმეთა მინისტრების 19 თებერვლის შეხვედრაზე და ამიტომ განიხილავდნენ მხოლოდ საკითხს მშვიდობისმყოფელთათვის დამატებითი პოლიციური ფუნქციების მინიჭების შესახებ, რასაც დაბეჯითებით მოითხოვდა თბილისი და რასაც დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა სოხუმი“. შემდეგ გაზეთი წერს: „ძნელია თქვა, ვის სასარგებლოდ გადახრის სასწორის პინას აფხაზეთიდან რუს მშვიდობისმყოფელთა გაყვანა. სამი წლის წინათ აფხაზებმა დაამტკიცეს, რომ შეიარაღებული კონფრონტაციის პირობებში შეუძლიათ საკუთარი(?! — ი. მ.) „ხიშტებით“ დაიცვან თავიანთი ხელისუფლება. აფხაზეთის მიწა-წყალზე რუს მშვიდობისმყოფელთა ყოფნით საქართველო იმიტომ იყო დაინტერესებული, რომ ეს მიაჩნდა კონფლიქტის მონაწილეობაში რუსეთის შუამავლობის გარანტიად“.

„კრასნაია ზვეზდადან“ შევიტყვეთ, რომ ამიერკავკასიაში დაბანაკებული რუსეთის ჯარების ჯგუფმა არ იცის, როგორ დააღწიოს თავი ვალებს. დაფინანსების მდგომარეობას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს კატასტროფული. გასული წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე წლის იანვრამდე ჯარების ჯგუფის ანგარიშზე ერთი მანეთიც არ შემოსულა.

ყოველკვირეული **„სობესედნიკისადმი“** ინტერვიუში ეგორ გაიდარმა განაცხადა, რომ **„გახელისუფლებიდან სულ რაღაც ნახევარ წელიწადში კომუნისტებს ხალხის მტრები დასჭირდებათ“**. ხოლო იმაში, რომ კომუნისტები გახელისუფლდებიან, ელცინის ყოფილ თანამოსაგრეს ეჭვიც არ ეპარება: „რამდენადაც ვიცი, ელცინს არავითარი შანსი არა აქვს“.

ყოველკვირეული **„მოსკოვსკიე ნოვოსტი“** განაგრძობს საუბარს იმის შესახებ, შეძლებენ თუ ვერა დემოკრატი პოლიტიკოსები და ამომრჩევლები გაერთიანდნენ ერთიანი პრეზიდენტობის კანდიდატის ირგვლივ, და სიტყვას აძლევს **მიხეილ გორბაჩოვს**. პრეზიდენტყოფილს მიაჩნია, რომ „ჩვენ კვლავ ვდგავართ პრინციპული არჩევანის წინაშე: განვაგრძოთ რეფორმები, თუ უკან დავბრუნდეთ“. **„არის რეალური საშიშროება, რომ გახელისუფლდნენ ძალები რომელთა პროგრამებს პოლიტიკური რევანშის წადილი ასულდგმულებს**, და ისინი შეეცდებიან დააბრუნონ სამბრძანებლო ეკონომიკა და დემოკრატიულ თავისუფლებათა არარსებობა“. გორბაჩოვს აგრეთვე მიაჩნია, რომ ახლანდელ ხელისუფლებას რეფორმების ლოზუნგით ხალხი გაღატაკებისაკენ მიჰყავს.



მიუხედავად ამისა, კომუნისტურ პრესაში საპარლამენტო გამარჯვებასთან დაკავშირებული ოპტიმიზმი აშკარად შეიცვალა ყოყმანით პრეზიდენტის არჩევნების წინ. ძლიერდება შეშფოთება, რომ ელცინმა მაინც შეძლო ეიძულებინა კომუნისტები მთელი „ტყვია-წამალი“ სათათბიროს სავარძლებისათვის ბრძოლაში დაეხარჯათ. **„პრავდა“** წუწუნებს, რომ **„საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ბორის ნიკოლოზის ძე ფართო საზოგადოების უხუმრად იჭრება ოპოზიციის „კომპეტენციაში“ — ახლა ლამის მისი ხმით ალაპარაკდა, რისხვას ატეხს თავს მოხელეებსა და ბანკირებს, რომლებსაც არ ანაღვლებს ხალხის გასაჭირი“**. „დიახ, პრეზიდენტს ახლა გაცილებით უფრო დაბალი რეიტინგი აქვს, ვიდრე პოტენციურ მეტოქეებს. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, დასძენენ **„პრავდელები“**, — რომ **დღეს იგი იწყებს თამაშს, რომელშიც ბადალი არა ჰყავს. — პოპულიზმი კვლავ ხდება მისი მთავარი იარაღი.** დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რუსეთში ბევრს გაეხარდება იხილოს კრემლის 65 წლის ბატონ-პატრონად თავისი ძველი კერპი“.

შეთვალყურეთა შეფასებით, როგორც **„კომსომოლსკაია პრავდა“** წერს, კანცლერ ჰელმუტ კოლის მოსკოვის ვიზიტს მატერიალური გამოხატულებით „ნულოვანი“ შედეგი ჰქონდა. რუსეთს ყველაზე მეტი სწორედ გერმანიისა მართებს. არჩევნების წინ ელცინის ავტორიტეტის მხარდაჭერის თვალსაზრისით ვიზიტი ასევე უშედეგოდ არის მიჩნეული. აღმოსავლეთით ნატოს გაფართოების თემაც მიჩუმათებული იყო. ამასთანავე ვარაუდობენ, რომ რუსეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის პროგერმანული პოზიცია უაღრესად არასტაბილურია და შეიცვლება, როგორც კი ნატო შეუდგება თავისი განზრახვების განხორციელებას.

„იზვესტიის“ თქმით, ჰელმუტ კოლს განუცხადებია, რომ მას უჭირს გაუგოს რუსეთს . კოლმა მოუწოდა ყველას „ნუ აჰყვებიან დასავლელ თეორეტიკოსებს, რომლებიც ისე იჭერენ თავს, თითქოს ესმოდეთ რუსეთისა...“.

და კიდევ, რაც შეეხება **„რუსეთის ქისას“**. საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა მიშელ კამდესიუმ **„იზვესტიის“** ფურცლებზე პერსპექტიული უწოდა ფონდისა და რუსეთის ურთიერთობას. მაგრამ მისი აზრით, ეს პერსპექტივა დამოკიდებული იქნება იმაზე, **მიაღწევს თუ არა რუსეთი დიდ მწარმოებლობას ნულოვანი ან ძალიან დაბალი ინფლაციის პირობებში და მოსახლეობის კეთილდღეობის მინიმალური გაუმჯობესებისას**

კითხვაზე — მიიღებს თუ არა ბოლოს და ბოლოს რუსეთი საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტს, ყოველკვირეული **„ზა რუბეჟომ“**, იმოწმებს რა ლონდონის **„ფაინეშნლ ტაიმსს“**, წერს, რომ კრედიტის მოცემა ფონდს მაინც მოუწევს პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, „ვინაიდან არავინ არ მოინდომებს, მას დაბრალდეს რუსეთის დაკარგვა“.

გრძელდება „ბრძოლა ნავთობის გამო“. ექსპერტებს მიაჩნიათ რომ **„კასპიის ნავთობი უკვე შეეხო გლობალურ ინტერესებს და სულ მალე გახდება კასპიის ზღვის ქუვეითი“**. ნავთობის მოპოვებით მიღებული შემოსავალი მომავალი სამი ათწლეულის მანძილზე სხვადასხვა გაანგარიშებათა მიხედვით 20-დან 90 მილიარდამდე დოლარს შეადგენს „დაინტერესებულ ინვესტორთა მოლაპარაკება საომარ შეტაკებათა ატმოსფეროში მიმდინარეობდა. რუსებმა სომხები შეაგულიანეს აზერბაიჯანის წინააღმდეგ ელვისებური ომისათვის, რათა კავკასია არ დაეკარგათ. ირანსა და თურქეთს ასევე სურს გააფართოონ თავიანთი გავლენა. რუსეთის პოლიტიკას შედეგად მოჰყვა აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობათა მთელი სერია“, — წერს ლონდონის **„სანდი ტაიმს მეგეზინი“**. ერთი სიტყვით, ნავთობს აშკარად დაჰკრავს სისხლის გემო.

„შვეიცარიელები უკადრისად არ თვლიან მიიღონ „ბინძური“ ფული რუსეთიდან“, წერს **გაზეთი „ფინანსოვიე იზვესტია“**.

ზოგიერთი შვეიცარიული კომპანია და ფინანსური სტრუქტურა სულ უფრო მეტი სიამოვნებით იღებს „ბინძურ ფულს“ უცხოეთიდან, მათ შორის, რუსეთის კრიმინალური ორგანიზაციებისაგან, აცხობს გაზეთ „ევროპოლის“ ხელმძღვანელობაში.

ამ ფაქტს მთლიანად ადასტურებს სპეციალისტთა პროგნოზები, რომლებიც აცხადებენ, რომ უახლოეს თვეებში დაიწყება რუსეთიდან სახსრების მკვეთრი გადინება. მომავალი პრეზიდენტის არჩევნები, რომლის შედეგადაც, შესაძლოა, კომუნისტები გახელისუფლდნენ. იწვევს **„ახალი რუსების“** მისწრაფებას სასწრაფოდ გადარიცხონ ფული საზღვარგარეთ.

„კომერსანტ-დეილის“ მოჰყავს თავდაცვის მინისტრის მოადგილის ბიჟანის აზრი იმის თაობაზე, რომ **„უკრაინა არ აპირებს უწილადოს ფლოტი საქართველოს“**. საქართველოს შეუძლია იქონიოს პრეტენზია მხოლოდ ხომალდების იმ ნაწილზე, რომლებიც მის ნავსადგურებშია განლაგებული.

გამოკითხვამ, რომელიც **„კომსომოლსკაია პრავდამ“** წყო რუსეთის 14 რეგიონში, ცხადყო, რომ პოპულარობის სხვადასხვა დროის მმართველთაგან პირველ ადგილზე პეტრე I და ეკატერინე II. მესამე ადგილზე რუსებმა დააყენეს უძრაობის პერიოდი ბრეჟნევის მეთაურობით. ასე რომ, ხალხს მოსწონს უკიდურესობანი: ან ძალიან ძლიერი, ან ძალიან სუსტი ხელი.

იური მოსეშვილი.

ინტერვიუ



ვითარება უნდა მოწესრიგდეს მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით

„ინტერესების სფერო“ და „გავლენის სფერო“ — სულაც არ არის ერთი და იგივე, — მიაჩნია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს კოტე გაბაშვილს.

— როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის კლაუს კინკელის თბილისში ამასწინანდელმა ვიზიტმა გვიჩვენა, საქართველოსა და გერმანიის ურთიერთობა საკმაოდ წარმატებით ვითარდება. უფრო მეტიც, ისე ჩანს, რომ ამას განსაკუთრებული ნდობის შეფერილობა აქვს. თქვენ რას გვეტყოდით ამის თაობაზე?

— პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ორი სახელმწიფოს ურთიერთობა ძალზე საინტერესოდ და, რაც მთავარია, ლოგიკურად ვითარდება. გერმანია ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა, „დიდი შვიდეულის“ წევრი და სავსებით გასაგებია მისი დაინტერესება მსოფლიო პრობლემებით, აღმოსავლეთ ევროპაში არსებული ვითარებით, ყოფილი სოციალისტური ბანაკით, კავკასიის რეგიონით და, შესაბამისად, საქართველოთი. ამიერკავკასია და ჩრდილოეთ კავკასია, როგორც არცთუ მთლად სტაბილური რეგიონები, ეჭვს გარეშეა, იწვევს დასავლეთის და, საკმაოდ გამორჩეულად, თვით გერმანიის ინტერესს. პირდაპირ თუ ვიტყვით, ეს რეგიონები ამ ქვეყნის ინტერესთა სფეროში შედის, მაგრამ ეს უნდა გავიგოთ როგორც სწორედ „ინტერესთა სფერო“ და არა როგორც „გავლენის სფერო“, ვინაიდან ეს ერთი და იგივე არ არის, თუმცა, ზოგჯერ ასე ფიქრობენ. საქმე ეხება იმით დაინტერესებას, რომ ნორმალური დემოკრატიული პროცესები, რომლებსაც საფუძვლად უდევს სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ამ ქვეყნებში წარიმართოს მშვიდობიანი რეფორმების ნიშნით, ცივილიზებულად, მათი განხორციელებისადმი თანდათანობითი მიდგომით.

საქმე ის არის, რომ მსოფლიო თანამეგობრობა საბოლოოდ მივიდა დასკვნამდე, რომ მსოფლიოში შენარჩუნებულია ორი ყველაზე კონფლიქტური ზონა — კავკასია და აფრიკა. შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ ცივილიზებული სამყარო თანამიმდევრულად იზრუნებს, რათა ამ კონფლიქტურ რეგიონებში მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით დაარეგულიროს სიტუაცია, ყოველმხრივ ეცდება ლოგიკურ დაბოლოებამდე მიიყვანოს საქმე. ცნობილია, რომ ინტეგრაციული პროცესები თანამედროვე სამყაროში გამუდმებით ვითარდება. მაგრამ ძალზე შესამჩნევი და ტკივილამდე მგრძნობიარეა სხვა რეალიებიც: დეზინტეგრაცია ცალკეულ რეგიონებში, სეპარატისტულ ტენდენციათა ზრდა, მათ შორის, ტერორიზმის, როგორც სეპარატიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, გამოვლინებები. ასეთი პროცესები, ბუნებრივია, მთელ მსოფლიოს აღელვებს და ვერც გერმანია იქნება გამონაკლისი. კლაუს კინკელთან ედუარდ შევარდნაძის მოლაპარაკების დროს მხარეები, მაგალითად, შეთანხმდნენ იმაზე, რომ ისეთი სერიოზული საკითხები, როგორიც არის აფხაზეთის საკითხი, სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირება მთიან ყარაბაღში და მის ირგვლივ, დროთა განმავლობაში შეიძლება გარდაიქმნან უმართავ პროცესებად და ისეთ მასშტაბებამდე გაიზარდონ, რომ ევროპაც კი მოიცვან. მისი ცენტრალური ნაწილის ჩათვლით. იგივე აღინიშნა ერთობლივი პრესკონფერენციის დროს.

— ისე ჩანს, რომ დასავლეთი და მთლიანად ცივილიზებული სამყარო ბოლო ხანებში უფრო მგრძნობიარენი გახდნენ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, მისგან დაშორებულ რეგიონებში მიმდინარე ამბებისადმი.

— ახალ, პრინციპულად სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციაზე გადასვლის პროცესი ერთდროულად ვეებერთელა ევროაზიურ სივრცეზე დაიწყო. ამ პროცესის დაბალანსებას და წარმართვას მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და გასაგებია წამყვანი ქვეყნების დაინტერესება ამ პროცესის საჭირო პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონდიციამდე მიყვანით. სწორედ აქ უდევს სათავე იმ ყურადღებას, რასაც, აი უკვე არა ერთი წელიწადია, იჩენს საერთაშორისო თანამეგობრობა დსთ-ს ქვეყნებისადმი. ეკონომიკური თანამშრომლობა, ჰუმანიტარული დახმარება, კულტურული ურთიერთკავშირები სწორედ ამ დაინტერესებას მოწმობს. აქ უმთავრესი ყურადღება კონცენტრირებულია რუსეთზე, რადგან ყველა სახელმწიფოს, პირველ ყოვლისა, ის სურს, რომ რუსეთი კვლავ მიჰყვებოდეს დემოკრატიული რეფორმების გზას, დარჩეს არჩეული კურსის ერთგული და, რომ საბჭოთა წარსულისადმი ნოსტალგიის რეციდივები მეტისმეტად ხშირად არ იგრძნობოდეს. მაგრამ, რუსეთში დეკემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა, თუმცა ის თავისთავად მაინცდამაინც საშიში არ არის, მაინც, როგორც დასავლეთის ქვეყნებში მიაჩნიათ, არ შეიძლება შეშფოთება არ გამოიწვიოს. არ შეიძლება იმიტომ, რომ პოლიტიკური წრეებისა და საზოგადოებრიობისათვის მთლად ნათელი არ არის რუსეთში მოვლენების შემდგომი განვითარების პერსპექტივა და მიმართულება, რაც, ამა თუ იმ დოზით, გავლენას იქონიებს დანარჩენ მსოფლიოზე. როგორც ელჩი, მე ყურადღებით ვადევნებ თვალს დასავლეთის პოლიტიკოსთა დამოკიდებულებას ამა თუ იმ ტენდენციისადმი. ჩემი მხრივ მინდა დავამატო, რომ საქართველოში 1995 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები და დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ჩატარებული არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში, ორ განსხვავებულ, მიმართულებითა და მისწრაფების ხასიათით დაპირისპირებულ ტენდენციებს ასახავენ. ის, რაც რუსეთში მოხდა, საქართველოში, მიუხედავად ძალზე საგრძნობი სოციალური სიძნელეებისა, არ შეიმჩნეოდა. ესე იგი, შიმშილისა და სიცივის პრობლემებმა (თუ მხედველობაში მივიღებთ გაყინულ ბინებს) საქართველოში, შეიძლება ითქვას, გავლენა არ მოახდინა დემოკრატიულ არჩევნებზე.

ესაუბრა
ნოდარ გროლაძე.

პრესა

ზურაბ ჟვანიამ პოლიტიკური ბრძოლა მოიგო

კარგა ხანია, რაც ყველა გზა აფხაზეთის პრობლემისკენ მიდის— საქართველოს პარლამენტის დელეგაციის სტუმრობა სანკტ-პეტერბურგში, ისევე, როგორც ერთი თვის წინათ პრეზიდენტ შევარდნაძის მონაწილეობა მოსკოვის სამიტში, ქართულმა პრესამ ამ რაკურსით დაინახა.

სანკტ-პეტერბურგში გამართულ თანამეგობრობის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესიაზე, ელდარ შენგელაიას თქმით (**„ივერია-ექსპრესი“ 23-26 თებერვალი**) გათვალისწინებული არც იყო იმ პრობლემაზე საუბარი, რომელიც ქართულმა დელეგაციამ სრულიად მოულოდნელად და წინასწარ შეუთანხმებლად წამოაყენა. ასამბლეას მხარი უნდა დაეჭირა 1996 წლის 19 იანვარს მოსკოვის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებისათვის.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ამ დადგენილებამ ისტერიკა გამოიწვია, ბორის პასტუხოვი ლამის გამოაპანღურეს იქიდან (**„მხედრი“ 22-24 თებერვალი**). წინადადებამ სანკტ-პეტერბურგშიც მღელვარება გამოიწვია. მისდამი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა რუსეთის დელეგაციის წევრმა, სათათბიროს დეპუტატმა ბაბურინმა:

— როდესაც საქართველო საბჭოთა კავშირს ანგრევდა და მისი შემადგენლობიდან გადიოდა, არ შეკითხვია აფხაზეთს. აფხაზებმა არ გამოთქვეს გამოყოფის სურვილი, არ გაწყვიტეს რუსეთთან ორასი წლის წინათ დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე აფხაზეთი რუსეთში შევიდა. იბადება კითხვა — აფხაზეთი საქართველოა თუ არა? (**„რეზონანსი“ 20-21 თებერვალი, „დრონი“ 20-18 თებერვალი**).

თუ ამას დავუმატებთ არძინბას ცნობილ პრესკონფერენციას და ამ ღონისძიებაზე თანამეგობრობის საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელის გიორგი ტიხონოვის პროვოკაციულ განცხადებას საბჭოთა კავშირის აღდგენის აუცილებლობის თაობაზე, გასაგები გახდება, რომ პოლიტიკური კოლიზიის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო ასამბლეაში საქართველოს მონაწილეობის გარეშე. სავარაუდოა, რომ სწორედ დაძაბულობის მოხსნის მიზნით მოუხადა ბოდიში გენადი სელეზნიოვმა თავის ქართველ კოლეგას გაუგებრობისათვის, რომელიც არძინბას მოსკოვში ვიზიტს მოჰყვა, და განაცხადა, რომ რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ზურაბ ჟვანიამ მას იქვე გააცნო საქართველოს დელეგაციის განცხადება. ვინაიდან სათათბირომ ხმების ორი მესამედით უარყო 19 იანვრის გადაწყვეტილება, რუსეთის დეპუტაციის მხრივ ამ განცხადების მხარდაჭერა სათათბიროსადმი უნდობლობას გამოიწვევდა. რუსეთის მხარე სელეზნიოვისა და ბაბურინის ხელმძღვანელობით სამი საათის განმავლობაში თათბირობდა, რათა თავიდან აეცილებინა ზურაბ ჟვანიას ვეტო, რომელიც იგორ სტროევის ასამბლეის საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის ასე სასურველ პერსპექტივას ნულს გაუტოლებდა, და ეს უნდა მომხდარიყო ისეთი ფორმით, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს უარი არ ეთქვა ასამბლეაში მონაწილეობაზე. (**„საქართველოს რესპუბლიკა“ 21 თებერვალი**).

უკვე ცნობილია, რომ ასამბლეამ მხარი დაუჭირა განცხადებას აფხაზეთში საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების თაობაზე.

საინტერესოა, თუ რა შინაარსის პოზიტიური შედეგები შეამჩნია ქართულმა პრესამ ასამბლეის დახურვის შემდეგ:

1. საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე 19 იანვრის გადაწყვეტილება საკანონმდებლო დონეზეც იქნა დადასტურებული. თანამეგობრობის სახელმწიფოთა პარლამენტები (მათ შორის რუსეთის) ხელს ვერ შეუშლიან აღმასრულებელ ხელისუფლებას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში;
2. თუ საქართველო მომავალში აფხაზეთის მიმართ გამოიყენებს მკაცრ ზომებს, რუსეთის სათათბიროს პოლიტიკური თვალსაზრისით გაუჭირდება დაგმოს ასეთი გადაწყვეტილება, რადგან მისმა თავმჯდომარემ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლითაც მოუწოდა აფხაზურ მხარეს წასულიყო დათმობაზე საქართველოს მიმართ ტერიტორიული მთლიანობისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებში;
3. თუ არძინბა დათმობებზე არ წავა, საქართველოს ხელთ ექნება არგუმენტი, რომელიც, შესაძლოა, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არ მოეჩვენოს დამაჯერებლად, რომ ასეთად უეჭველად მოეჩვენება საერთაშორისო საზოგადოებრიობას.
4. საპარლამენტთაშორისო ასამბლეამ მოუწოდა მხარეებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და რუსეთის ფედერაციას კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისაკენ.
5. ასამბლეის სხდომაზე ერთადერთი პოლიტიკური დადგენილება იქნა მიღებული და ისიც აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას ეხებოდა;
6. ვიზიტმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ ურთიერთობის დამყარება და საერთო ენის გამონახვა შეიძლება თითქმის ნებისმიერ დაჯგუფებასთან და ფრაქციასთან;
7. საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებისათვის ტიხონოვი და ბაბურინიც კი იძულებულნი გახდნენ ხელი მოეწერათ;
8. საპარლამენტთაშორისო ასამბლეას დღეს არავითარი პოლიტიკური ფუნქცია არ გააჩნია, მაგრამ გარკვეულ ვითარებაში შესაძლოა ინტეგრაციულ პროცესთა იურიდიულად ლეგიტიმაციის საშუალებად მოგვევლინოს. საქართველო კი ამჟამად ცდილობს, რომ ორგანიზაცია მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი ინტერესების დასაცავად;
9. ზურაბ ჟვანიამ ტაქტიკური ბრძოლა უეჭველად მოუგო სელეზნიოვსა და ტიხონოვს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ არძინბას პრესკონფერენციის უმართავდნენ.

ქართულმა პრესამ გამოჰყო ორი მოვლენა, რომლებსაც ბიძგი შესაძლოა სანკტ-პეტერბურგის ასამბლეამ მისცა:

„მიმომხილველი“ 21 თებერვალი... ორსაათიანი ვიზიტი მოსკოვში „სმოლენსკის“ მოედანზე არძინბას კონფედერაციის იდეასთან განშორებად დაუჯდა. ძნელი სათქმელია რა დიპლომატიური სქემები გამოიყენა პრიმაკოვმა ჯიუტ არძინბასთან შეხვედრისას, ერთი რამ ფაქტია, არძინბას ორი პრესკონფერენცია დიპლომატიურ ცენტრში და სახელმწიფო დუმაში როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, არძინბა სახლში ფედერაციული იდეებით გაემგზავრა;

ქართულმა პრესამ პირველად, სატელევიზიო მხარდაჭერის გარეშე, ქრონოლოგიის დაცვით, ფაქტების ზუსტი ასახვით დაგვანახა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის მძაფრი სურათი, სადაც მოქმედება განვითარდა არა საზოგადოებისათვის მიუღწეველ სივრცეში, არამედ ჩვენს გვერდით, ჩვეულებრივი ადამიანური მოტივების გათვალისწინებით. საზოგადოება გახდა მოწმე პოლიტიკური პროცესისა, რომელშიც მისი ინტერესები აღმოჩნდა ჩადებული. თავი გაიცნობიერა როგორც დაპირისპირების მონაწილემ. ასეთ ვითარებაში ადამიანის აღქმა არჩევითია, ის ეძებს არგუმენტებს, რომლებიც მის პოზიციას გაამაგრებს, ამიტომ ვფიქრობ ბევრი არავინ მიუგდებდა ყურს **20 თებერვლის „შანსში“** ირაკლი წერეთლის ხმას:

— „აფხაზეთი არ ღირს იმდენად, რომ მისი გულისათვის საქართველომ თავისუფლებაზე უარი თქვას... დღეს თუ არა, ხვალ დავიბრუნებთ, ხვალ თუ არა, ზეგ... ასე, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარება, ჩემი აზრით, დღეს არ არის პირველი მნიშვნელობის პრობლემა“.

გია კაპანაძე,
სოციოლოგი.

საქართველო და საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა

ისტორიულ-პოლიტიკური ესე

აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული

პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი კლასიკური სახით ქართველ პოლიტიკოსთა წინაშე დადგა მას შემდეგ, რაც III საუკუნიდან ამიერკავკასიაში რომს სასანიდთა ირანის ძლიერი სახელმწიფო დაუპირისპირდა. რომის იმპერიის (IV საუკუნიდან აღმოსავლეთ რომის იმპერიის — ბიზანტიის) და ირანის ხანგრძლივ ბრძოლაში პატარა საქართველოსთვის არჩევანის გაკეთება, რა თქმა უნდა, ძნელი იყო. ირანის ინტერესები ამიერკავკასიაში უფრო რეალური ჩანდა, ვიდრე ბიზანტიისა, — რომის იმპერია ორად გაყოფის მომენტისთვის (IV საუკუნე) უკვე დასუსტებული იყო, მით უფრო სუსტი იყო მისი აღმოსავლეთი ნაწილი, ბიზანტია. სწორედ ამიტომ ვახტანგ გორგასლის პოლიტიკური ორიენტაცია — მეგობრული ურთიერთობის დამყარება ირანთან — სწორი გადაწყვეტილება იყო. მეორე მხრივ, ისიც ცხადი იყო, რომ ეს დოგმა არ უნდა ყოფილიყო. ვახტანგ გორგასალმა შეძლო თავისი ძალაუფლების განმტკიცება, მაგრამ მალე ქრისტიანული ქართლის მაზდეანურ ირანთან ურთიერთობაში ქართლის მეფემ სასიკვდილო საფრთხე დაინახა და პოლიტიკური ორიენტაცია შეცვალა — მოკავშირედ ბიზანტიის იმპერია დასახა. ირანის მხრიდან საფრთხე იმდენად ძლიერი იყო, რომ გორგასალმა, ეგრისში ბიზანტიელთა თვითნებობის მიუხედავად, მაინც ბიზანტიური ორიენტაცია აირჩია.

ვახტანგ გორგასალი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო იმანაც, რომ ქართლის მეფეს ჩრდილოეთ კავკასიის ფაქტორის გამოყენების საქმეში გართულებები შეუქმნა ალანთა (ოვსთა) შემოჭრამ ქართლის სამეფოს საზღვრებში. თუ ქართველი მეფეები ერთ დროს რომის იმპერიის დიპლომატიასთან ბრძოლაში მარჯვედ იყენებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთში მომთაბარე ხალხებს, ვახტანგ გორგასალს ამ შემთხვევაში, პირიქით, თავსატეხი გაუჩნდა. ალანებმა, რომლებიც ხანგრძლივი გადაადგილების (მომთაბარეობის) შემდეგ ჩრდილო კავკასიის მთისწინეთში დამკვიდრებას ცდილობდნენ, თვალი დაადგეს საქართველოს (ქართლს). **ვახტანგ გორგასალმა ჩრდილოეთიდან წამოსული საფრთხე დროზე შენიშნა, ალანები სასტიკად დაამარცხა და დარიალის კარი სამიდამოდ ჩაკეტა.**

ბიზანტიისგან რეალური დახმარების მიუღებლობის შემთხვევაში, ვახტანგ გორგასალი ირანს ვერ გაუმკლავდებოდა. ასეც მოხდა: ვახტანგი დამარცხდა, ქართლში ირანი გაბატონდა.

532 წელს „საუკუნო ზავით“ ბიზანტიამ და ირანმა გაიყვეს გავლენის სფეროები. ბიზანტიამ სცნო ირანის გაბატონება ქართლში, ხოლო ირანმა ბიზანტიისა — ეგრისში. ქართლი მაინც უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა — აქ მეფობა გაუქმდა. ირანი გრძნობდა, თავის უპირატესობას და 542 წელს ეგრისშიც დიდი ლაშქარი შეიყვანა. დაიწყო ე. წ. „დიდი ომიანობა“, რომელიც 20 წელს გრძელდებოდა. ამ ომში ეგრისის მეფე სამხედრო ძალით ქვეყანას ვერ გადაარჩენდა, საჭირო იყო მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარის მაქსიმალურად სწორად განსაზღვრა და მომგებიანი საგარეო პოლიტიკური კურსის შერჩევა. გუბაზ მეფის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომელთა მიზანი ბიზანტიისა და ირანის დაპირისპირებიდან მოგების მაქსიმუმის მიღება იყო, ქართული დიპლომატიის დიდ შესაძლებლობებზე მიუთითებს. გუბაზის სახით ბიზანტიელებმა სერიოზული მოწინააღმდეგე დაინახეს, ამიტომაც მოკლეს იგი 554 წელს. იმავე წელს ეგრისის სახალხო კრება, ბიზანტიელთა მიმართ საყოველთაო და სამართლიანი ზიზღის მიუხედავად, მაინც სწორ პოლიტიკურ ორიენტაციაზე დადგა — ბიზანტიასთან მოკავშირეობა აირჩია. კრებაზე გამოსული ორივე პოლიტიკოსი — აიეტი (პროირანული ორიენტაცია) და ფარტაძე (პრობიზანტიური ორიენტაცია), რა თქმა უნდა, ჭკვიანი დიპლომატები იყვნენ, მაგრამ ფარტაძე უფრო პრაგმატულ პოლიტიკას მისდევდა. ის ამ შემთხვევაში სწორი იყო: ირანი ეგრისიდან ბიზანტიას ვერ გააძევებდა, ხოლო გამარჯვებული ბიზანტია პროირანული ორიენტაციის ეგრისს კიდევ ათას უბედურებას დაატეხდა თავზე. მალე ეს ვარაუდი გამართლდა. უფრო მეტიც, 628 წელს ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ ხაზარების დახმარებით — **ისევ ჩრდილო კავკასიის ფაქტორი!** — ირანელებს თბილისი წაართვა.

არაბების გამოჩენისა და ბატონობის ეპოქაში (VII-IX საუკუნეები) ქართველ პოლიტიკოსებს დიდი არჩევანის საშუალება, სამწუხაროდ, არც ჰქონდათ. არაბებმა დაიპყრეს მთელი ახლო აღმოსავლეთი, მცირე აზიაში სასტიკი მარცხი აგემეს ბიზანტიას. ასეთ ვითარებაში ტრადიციული პრობიზანტიური პოლიტიკური კურსი აზრს კარგავდა — ბიზანტიას თავისი ბედი უჭირდა. ამიტომაც ქვეყნის გადარჩენის გზებიდან პრაქტიკულად მხოლოდ ერთი — არაბებთან ურთიერთობის მოგვარება — რჩებოდა. ამ პოლიტიკას ადგა ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი. ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი“ (VII საუკუნის 50-იანი წლები) შექმნილ სიტუაციაში ქართული დიპლომატიის გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ. ცოტა მოგვიანებით, ამ პოლიტიკის გამგრძელებლად, მაგრამ — განმავითარებლად და ტრანსფორმატორად, გვევლინება ერისმთავარი ნერსე, რომელმაც კარგად დაინახა, რომ დამპყრობთა მიმართ უსაზღვრო დათმობები უკვე გადაგვარების საფრთხეს უქმნიდა ერს. ამით იყო გაპირობებული ნერსეს პოზიცია: პროარაბული ორიენტაციის აუცილებლობის დროებითი აღიარება და შემდეგ მისი შეცვლა — ბრძოლის დაწყება დამპყრობთა წინააღმდეგ.

არაბებთან ბრძოლაში თითქოს განწირული ბიზანტიის იმპერია გადარჩა, ხოლო სახალიფო დაიშალა (IX ს.), ეს ფაქტი სულაც არ მეტყველებდა იმაზე, რომ ბიზანტია აღმავლობის გზაზე იდგა. მაგრამ, მეორე მხრივ, მას ძალუძდა, აქტიურად შეეშალა ხელი საქართველოს გაერთიანებისთვის, რისთვისაც, სხვა საშუალებებთან ერთად, მხარს უჭერდა ოპოზიციას ქვეყნის შიგნით. ასეთ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დოზირების ფაქტორს პრობიზანტიური ორიენტაციის გატარებაში. ბაგრატ III და ბაგრატ IV მაინც პრობიზანტიურ ორიენტაციას არჩევენ, მაგრამ გიორგი I — ანტიბიზანტიურს, რასაც ომიც კი მოჰყვა ბიზანტიასა და საქართველოს შორის. არ შეიძლება არ დავასკვნათ, რომ ორ კუროპალატს შორის მოღვაწე გიორგი I, რომელმაც პრინციპულად არ მიიღო კუროპალატის ტიტული, სულაც არ დგამდა წინდაუხედავ ნაბიჯს. დღეს გადაჭრით ვერავინ იტყვის: საქართველოს გაერთიანების საქმეს რას მოუტანდა იმაზე მეტს მესამე კუროპალატი, ვიდრე მოუტანა ბიზანტიის წინააღმდეგ ხმალშემართულმა მეფე გიორგიმ. როგორც ჩანს, თავისი ანტიბიზანტიური პოლიტიკური კურსით გიორგი პირველმა გაანეიტრალა მამამისის — ბაგრატ მესამის პრობიზანტიური პოლიტიკური ორიენტაციის ზოგიერთი მავნე შედეგი (თუნდაც, ეროვნული ცნობიერების გადარჩენის თვალსაზრისით) და ამავე დროს, გარკვეული პოლიტიკური დივიდენდები დაუტოვა შვილს — პრობიზანტიური ორიენტაციის ბაგრატ მეოთხეს.

თუ ბაგრატ მესამის ეპოქაში პრობიზანტიურ პოლიტიკას რეალური შედეგები ჰქონდა (ისევე როგორც რეალური შედეგები ჰქონდა გიორგი პირველის ანტიბიზანტიურ ორიენტაციას), ბაგრატ მეოთხის ეპოქაში იგი თანდათანობით აზრს კარგავს, ხოლო გიორგი მეორის მეფობისას, უაზრობად იქცევა. თურქ-სელჩუკების დაპყრობების დასაწყისშივე ბიზანტიის სასტიკ მარცხს მანასკერტთან ბრძოლაში (1071 წ.), შედეგად მოჰყვა ბიზანტიის მიერ აღმოსავლეთის (მცირე აზიის) პროვინციების დაკარგვა.

როდესაც დავით აღმაშენებლის მეფობა დაიწყო (1089 წ.), საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან, სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე) სელჩუკთა იმპერია ერტყა. დავით აღმაშენებელი გარკვეულ ვაკუუმში აღმოჩნდა: მოკავშირედ ბიზანტია არ გამოდგებოდა, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან დახმარების მიღება რომ არარეალური იყო, ეს ნათელი ჩანდა ჯვაროსანთა ლაშქრობების შედეგების მიხედვით. თითქოს აბსოლუტური და გადაულახავი რეალობა იყო ის, რომ თავისი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალით საქართველო თურქ-სელჩუკებს ვერ გაუმკლავდებოდა, ამგვარ, პრაქტიკულად გამოუვალ, ვითარებაში დავით აღმაშენებელმა მაინც მაქსიმალისტური ამოცანა დაუსახა ქვეყანას, ხოლო მიზნის მისაღწევ საშუალებებს შორის ერთ-ერთი ჩრდილოეთში აღმოაჩინა: მან ისევ და ისევ **ჩრდილო კავკასიის ფაქტორი გამოიყენა — დარიალის კარით** ყივჩაღები გადმოიყვანა და საგრძნობლად გააძლიერა, უფრო მობილური გახადა, საქართველოს სამხედრო ძალები.

დავითის, დემეტრე პირველის, გიორგი მესამის, თამარის ეპოქაში პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, როგორც ასეთი, არც მდგარა, მოკავშირის პრობლემა არ არსებობდა, რადგანაც პრაქტიკულად არ არსებობდა პოტენციური ძლიერი მოკავშირე. თავისი თავის იმედით მყოფი საქართველოსთვის ერთადერთ ტაქტიკურ იარაღად რჩებოდა საერთაშორისო მდგომარეობის გამოყენება, საერთაშორისო კონიუნქტურაზე ოპერატიული რეაგირება (ჯვაროსანთა ომები, თურქ-სელჩუკთა იმპერიის დაშლა და სხვ.), ფაქტიურად იგივე ითქმის გიორგი ბრწყინვალის (1314-1346) ხანაზეც.

ახალი ეტაპი საქართველოს სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ისტორიაში მე-13 საუკუნის შემდეგ, ძირითადად — მე-15 საუკუნიდან, იწყება. ეს არის ეტაპი, რომელიც ზოგიერთი ნიშნით, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს: **საქართველომ თანდათანობით დაიწყო დავიწყება იმისა, რომ იგი სპეციფიკური ქვეყანაა, რომ მას შეხედავენ, ერთი მხრივ, როგორც ევროპას აზიაში, მეორე მხრივ როგორც აზიას ევროპაში; საქმე ისაა, რომ იგი მაინც, ყველა შემთხვევაში, იყო და სხვების თვალშიც რჩებოდა სწორედ სპეციფიკურ ქვეყნად, ორი სამყაროს შეხვედრის ადგილად. — აქ მთავარი ის იყო, თუ რამდენად იზრუნებდა თვითონ იგი თავისთავადობის შენარჩუნებაზე, და რამდენად მნიშვნელოვანი და სერიოზული ძალა იქნებოდა პოლიტიკურად ეს თავისთავადი ქვეყანა. პოლიტიკურ ასპექტში ეს იყო ეტაპი, როდესაც შეიძლებოდა ჩადებულიყო ფუნდამენტი მომავალი ნეიტრალური სახელმწიფოსთვის. სამწუხაროდ, მოხდა პირიქით: ეს არის ეტაპი ჩვენს ისტორიაში, როდესაც, ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამოისობით, ჩვენი ეროვნული კონცეფცია თანდათანობით განუდგა ბალანსირების და გადაზრებში დოზირების პოლიტიკას, დაფუძნებულს ჩვენს გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ მოცემულობაზე, პირველ ყოვლისა — ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გასავალი კარის მფლობელობის ფაქტორზე. თუ უფრო ზუსტნი ვიქნებით, ეს კონცეფცია სამი ელემენტის ერთობლიობით იქმნებოდა: პირველი — ერთიანი ქართული მიდგომა პოლიტიკური (resp. საგარეოპოლიტიკური) დოქტრინის ჩამოყალიბებისადმი; მეორე — ბალანსირების პოლიტიკა; მესამე — რეგიონულ ლიდერობაზე პრეტენზიის განხორციელება.**

მე-15 საუკუნის დასასრულიდან ამიერკავკასიაში ჰეგემონობისთვის ბრძოლას იწყებენ ირანი და თურქეთი. მე-18 საუკუნის დამდეგიდან შავი და კასპიის ზღვებისკენ გაიჭრა რუსეთი. საქართველო უკვე დაშლილია სამეფო-სამთავროებად. ამ პერიოდში **საქართველო პოლიტიკურ სიტუაციას ფაქტიურად ვეღარ მართავს; პროირანული, პროთურქული, პროდასავლური და, ბოლოს, პრორუსული ორიენტაცია იძულებითი ნაბიჯები იყო და არა გარკვეული სტრატეგიული ხაზის გათვლილი ელემენტები, ისინი საპერსპექტივო პოზიტივს არ ქმნიდნენ, რადგანაც უმეტესწილად მხოლოდ უკვე მომხდარზე რეაქციას წარმოადგენდნენ.**

რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ქართველი ლიდერები, ქართველი პოლიტიკოსები არ მოქმედებდნენ თავგანწირულად. ქართველ მეფეთა დამსახურება ამ ეპოქაში ის იყო, რომ ისინი კატასტროფულ სიტუაციაში, წაგებული ბრძოლების თუ საგარეოპოლიტიკური მარცხის შემდეგ, მაინც პოულობდნენ რაღაც ფაქტორს, რომელზეც შეიძლებოდა დაფუძნებულიყო საქართველოს და ქართველობის გადარჩენისთვის ბრძოლა. ამ ბრძოლაში იყო კომპრომისებიც, ზოგჯერ — გაუმართლებელი, იყო კონკრეტული შეცდომებიც, იყო აშკარა უკუსვლაც, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სამი დიდი სახელმწიფოს საჯიჯგნად ქცეული, უმოკავშიროდ დარჩენილი ქართველობა მაინც არ გადაგვარდა და, ბოლოსდაბოლოს, მე-18 ს.-ის დამლევს იმას მაინც მიაღწია, რომ მაშინდელი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე შედგენილი ხელშეკრულებით დაუკავშირდა რუსეთს. რითაც ამ ხელშეკრულების დარღვევის და მოკავშირის მიერ განხორციელებული ოკუპაციისა და ანექსიის მიუხედავად, შორეულ შთამომავლობას დაუტოვა სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლის იურიდიული უფლება. ეს შეიძლება ერეკლე მეფის და ქართული დიპლომატიის გარკვეულ წარმატებადაც კი ჩაითვალოს. დიპლომატიის, საერთოდ, ძალიან უჭირდა, კერძოდ, — გაძნელებული იყო პროგნოზირება და ხელსაყრელი კურსის განსაზღვრა. და მაინც, აქტიურად მოქმედებდნენ კახეთის მეფეები ლევანი (1518-1574) და ალექსანდრე მეორე (1574-1605), ქართლში — თეიმურაზ პირველი და სხვები. როსტომ-ხანმა (1632-1658), ვახტანგ V შაჰნავაზმა (1658-1675), ვახტანგ მეექვსემ (1703-1724) ბევრი იმეცადინეს ქვეყნის გადარჩენისთვის. რაც შეეხება თეიმურაზ მეორეს (1744-1762) და ერეკლე მეორეს (1762-1798), მათ ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანებაც კი მოახერხეს — ეს შექმნილ სიტუაციაში მხოლოდ დიპლომატიური სვლებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ამავე საშუალებით იქნა თავიდან აცილებული ომები თურქეთთან — საერთოდ, ხოლო ირანთან — 1795 წლამდე.

და მაინც, საქართველო უკვე ის აღარ იყო, რაც იყო, პირველ რიგში, **ფუნქციონალურად**.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სრ“ № 35,

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათქმელი უნდა ითქვას

ასეთი მოქმედებით შეიძლება კარგიც წყალს გაატანო

1994 წლის 24 ივნისს ტანკების კოლონამ კიდევ ერთხელ აავსო გრუხუნითა და ბოლით ზუგდიდის ქუჩები. მაგრამ დედაწულიანად გარეთ ოფენილ ხალხს იმჯერად კუშტი მზერა არ გაყოლებია მისთვის...

ის საღამოს, რუსეთის სამშვიდობო ძალების ველმა ბატალიონებმა მარშით რომ გაიარეს, ლტოლვილები კი არა, რომლებითაც პიბეა გაჟღენთილი ეს ქალაქი, ზუგდიდელებიც ყვავილებითა და ხელის ქნევით მიესალმნენ მათ (თალი გითხრათ, ასეთ გულითად შეხვედრას ველოდითო, გვითხრა შემდეგ ჟურნალისტებს ვიდობო ძალების „სამხრეთის ზონის“ მეთამა გენერალმა ალექსი პოტაპოვმა).

რა იყო ეს — ზრდილობითა და სტუმართმოყვაობით გამორჩეული კუთხის ინსტინქტური რეაქცია, თუ ომით, გაურკვევლობით, გაჭირვებით ბულ ხალხის გრძნობის ბუნებრივი გამოხატულება? ალბათ, უფრო მეორე, თორემ მანამდე იქ „მშვიდობიჯურმა“ ტანკებმა იმდენი იგრიალეს, იმდენჯერ შევიდნენ და გავიდნენ, რომ „რუსის“ ებს ასე მკვეთრად გამოხატული სიხარულით ლოდ თავაზიანობის გამო არ შეხვდებოდნენ. ვუთვალიერებ ჩემს მაშინდელ ზუგდიდურ ჩანაწერებსა და პუბლიკაციებს...

არ მინდა ვინმეს დისკუსია გავუმართო იმის ობაზე, მოგვცემს თუ არა რაიმე ხელშესახებს რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანა კონფლიქტის ზონაში, ხომ არ არის ეს ზუგდიდისა და წალენჯიხის ოკუპაციაც. რაღაც-რაღაც მოულოდნელობებისთვის ყოველთვის უნდა ვიყოთ მზად („მოულოდნელობა“ კი, გაგიხარიათ, მრავალგზის გვინახავთ), მაგრამ იმას კი დაბეჯითებით ვიტყვი, იქაური საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი, ლური ვითარებიდან გამომდინარე, ამ გზით ში ხალხის დაბრუნებას მაინც უკეთეს ვარიანტად მიიჩნევს... არ ვდავობ, რთული, მძიმე და წინააღმდეგობრივია ეს გზა, მაგრამ ხომ არის მიზნის მიღწევის რაღაც პროცენტის ალბათობა! ეს ალბათობა დღეს რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელშია... ჩავებღაუჭოთ ამ იმედს და, რა თქმა უნდა, არც ის დავივიწყოთ, რომ „უფლისციხესან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი, არა დაღვრილის, დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა“! — ვწერ მაშინ.

ასეთი განწყობა მარტო მე არ მქონია 1994 წლის ივნისში. არ ვაპირებ სამშვიდობო ძალების მიანობის ანალიზს, ამას სპეციალისტები გააკეთებენ. ვიტყვი მხოლოდ, რომ იყო ყველაფერი — კარგიც და არც თუ კარგიც. პირველზე მრად გვისაუბრია, მეორე მხარეზე დღეს საგანებოდ შევჩერდები, სხვაგვარად ობიექტური სურათი ვერ დაიხატება.

სამშვიდობო ძალების მოსამსახურენი, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ იქცეოდნენ ისე, როგორც ათ მაღალ მისიას ეკადრებოდა. აქ ყოფნის 20 ვის მანძილზე მათ ჩამოუყალიბდათ თავისებური „ბელისუფლების ინფრასტრუქტურა“ — აკონტროლებენ გზებს, ტრანზიტს, და, არც თუ იშვიათად, სარფიან ბიზნესად აქცია ზოგიერთმა ის მოვალეობა, რომელიც უანგაროდ უნდა შეესრულებინა.

საქართველოს პრეზიდენტმა ამას წინათ „მოსკოვსკი კომსომოლეცისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ახსნა ეს მოვლენა: ნებისმიერი არმია — სამშვიდობო იქნება იგი თუ სხვა — როცა უმოქმედოდაა, ხრწნას იწყებსო, თქვა.

აფხაზეთში მდგარი რუსეთის სამშვიდობო ძალების გახრწნის ფაქტი კი, სამწუხაროდ, არც თუ ცოტა იყო.

მოსვლიდან სულ რაღაც 10 დღის შემდეგ, 1994 წლის 4 ივლისს, ხობის რაიონის სოფელ თორსაში სამხედროებმა მოკლეს ამ სოფლის მკვიდრი, უდანაშაულო კაცი ვახტანგ ჩხაპელია.

ენგურზე ჯარის ჩამოდგომის თვის თავზე, 1994 წლის 23 ივლისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში ორი ტანკი 2 საათის განმავლობაში პერიოდულად უშენდა ცეცხლს ხობის რაიონის სოფელ ყულევის შემოგარენს. საბედნიეროდ, სროლას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია. ამ ფაქტის შემსწრე გაოგნებულ მეთევზეებს მთვრალმა სამხედროებმა ნავი და ბადე წაართვეს, თან უშვერად ლანძღავდნენ ქართველებსა და საქართველოს ხელისუფლებას.

მტერი და მაგინებელი ბევრი მოგვიმრავლდა ამ ბოლო დროს, ამიტომ არც სოფლისთვის პურვების დაშენა და არც ლანძღვა გაგვიკვირდებოდა, ამას დანასისხლად გადაკიდებული უბირი მეამბოხე რომ გვიკეთებდეს, მაგრამ სამეგობროდ და მშველელად მოსული ხალხისგან სწორედ ორმაგად გვწყინება...

1995 წლის 14 აპრილს, დილის 4 საათზე ზუგდიდის პოლიციის სამმართველოში მთვრალი ოფიცერი — ბატალიონის მეთაური პოდპოლკოვნიკი ვოლკოვი მივარდა, აქ რომ ვალერი გეგეჭკორი გყავთ დაკავებული, ახლავე გაუშვით, თორემ აქაურობას სულ წია-წია წავიღებო (ამ გეგეჭკორის დედა ეროვნებით რუსია და სამშვიდობო ძალების შტაბში მუშაობდა). პოდპოლკოვნიკს, ცხადია, უარი უთხრეს. ვოლკოვი გაბრუნდა, ოღონდ დაიბარა, დედას გიტირებთო და აასრულა კიდეც: მოიყვანა ბატალიონის პირადი შემადგენლობა, საბრძოლო ტექნიკა და დილის 7 საათზე პოლიცია პოლიციელებს თავზე დაამხო, სამორიგეო ნაწილის მუშაკები განაიარაღა და 4 ავტომატი და 4 „მაკაროვი“ თან გაიყოლა.

1995 წლის 14 აგვისტოს ზუგდიდის რაიონში ერთ-ერთ საგუშაგოზე უმიზეზოდ დააკავეს ლტოლვილი — გალის პოლიციის რაიონული განყოფილების თანამშრომელი ნუგზარ კვარაცხელია, ჯერ ლანძღეს და ცხვირპირი დაუნაყეს, შემდეგ სამეურნეო დანიშნულების გაუმართავ მაცივარში შეკეტეს, რაკი პოლიციის თანამშრომელი ხარ, აფხაზებს გადაგცემთო, ალბათ, გადასცემდნენ კიდეც, გენერალი დ. აბაშიძე რომ არ ჩარეულიყო და არ ეხსნა.

1995 წლის 19 აგვისტოს არყით მთვრალმა სამხედროებმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს წალენჯიხის პოლიციის რაიონული განყოფილების შენობას და დააზიანეს, ჯავშანტრანსპორტიორით პოლიციის მანქანა მიაჭყლიტეს, „ჩაროზად“ კი რამდენიმე პოლიციელი დაბეთქეს.

1995 წლის 25 ივლისს ზუგდიდის პოლიციამ დააკავა სამშვიდობო ძალების სომეხი ეროვნების სამხედრო მოსამსახურე, რომელიც ცდილობდა რაიონიდან გაეყვანა ზუგდიდელ მეზონიასთვის მოპარული მსუბუქი ავტომანქანა და ნაძარცვი საქონელი გაეტანა.

წლეულს, იანვრის პირველ რიცხვებში, ზუგდიდის რაიონის დაბა რუხში განლაგებულ სამშვიდობო ძალების 309-ე საგუშაგოს სომეხი ეროვნების სამხედროებმა სასტიკად სცემეს ადგილობრივი მცხოვრები თ. გიგანი. ეს არ აკმარეს და 29 იანვარს სახლი დაუწვეს.

სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები არც ფულის გამოძალვაზე ამბობდნენ უარს და არც სამსახურებრივი უფლებების გადამეტება ეთაკილებოდათ.

1994 წლის 27 ივლისს სოფელ ანაკლიაში დაბანაკებული ბატალიონის მეთაური პოდპოლკოვნიკი გ. კარელინი ზუგდიდელ ი. ჩაჩავას დაემუქრა, ბარჯას აგიფეთქებო და ჩაის გადაზიდვისას 600 ათასი რუბლი გამოსძალა. შარშან, 21 მარტს, დაბა ჯვარის საგუშაგოზე, სადაც ლენინაკანის ბატალიონის სამხედრო მოსამსახურენი იდგნენ, სოხუმელ ლტოლვილს თ. კოპალიანს მსუბუქი ავტომანქანა წაართვეს. მის გამოსასყიდად ბატალიონის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა ციგანკოვმა და შტაბის უფროსმა, სომეხი ეროვნების მაიორმა (მისი გვარი დადგენილი არ არის) პატრონს 8 მილიონი რუბლი მოსთხოვეს. მანქანა მხოლოდ სარდლობის ჩარევის შემდეგ დაუბრუნდა თ. კოპალიანს.

ივნის-ივლისში 309-ე საგუშაგოზე ზუგდიდელებს ე. ბულიასა და თ. ფიფიას ფული გამოსძალეს: პირველს 250 ათასი, მეორეს კი 50 ათასი რუბლი. თანაც დაამუნათეს, აქ ქართველთა ინტერესებს ვიცავთ და ამისთვის ქართველებმა ფული უნდა გვიხადოთო.

მარტში ზუგდიდის პოლიციის თანამშრომელს ხუფენიას ავტომატი წაართვეს და გამოსასყიდად 200 ათასი რუბლი მიატანინეს. სულ ახლახან, 6 იანვარს, დაბა ჯვარში, საგუშაგო პოსტზე 4 საათით დააკავეს სამგზავრო ავტობუსი ჯვარი-თბილისი და მხოლოდ მძღოლისა და მგზავრებისგან ფულის აკრეფის შემდეგ გაუშვეს. მანამდე კი, 3 იანვარს ლენინაკანის ბატალიონის ორმა სამხედრო მოსამსახურემ ხელყუმბარის მუქარით გაძარცვა ადგილობრივი მოსახლეობის კომერციული ჯიხურები...

სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები თვითნებურად აწყობდნენ საგუშაგოებს მათი მოქმედების ზონის ფარგლებს გარეთ და საგზაო პოლიციის ფუნქციებს „ასრულებენ“. ბუნებრივია, ასე ზედმეტად ტყუილად არ ირჯებიან...

მრავალი სამხედრო მოსამსახურე ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვით იყო დაკავებული და, ბუნებრივია, თვითონაც გვარიანად „უქიშინებდა“.

ბოლო დროს სხვაგვარ ბიზნესსაც მოუხშირეს: აფხაზეთში გააქვთ იშვიათი ჯიშის ხე-ტყე. მაგალითად წლეულს, 3-4 იანვარს, მესტიის რაიონის სოფელ ხაიშიდან და ჭუბერიდან აფხაზეთში გაიტანეს 50 კუბური მეტრი წაბლის ფიცარი, ხოლო 15 იანვარს წალენჯიხის რაიონიდან — სამი „კამაზი“ ხე-ტყე.

სამშვიდობო ძალების ზოგიერთი წარმომადგენელი დაკავშირებულია კრიმინალური დაჯგუფების ხელმძღვანელებთან ფერადი ლითონის, ჯართის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატან-გამოტანის საქმეში.

მომრავლდა შემთხვევები, როდესაც სამხედრო მოსამსახურეები ავტომატური იარაღით ხოცავენ საქონელს, საბრძოლო ტექნიკით აზიანებენ ღობეებსა და შენობებს...

ერთი სიტყვით, ისე იქცევიან, ყოვლად შეუფერებელი რომ არის სამშვიდობო ძალების სტატუსისათვის.

ეს ყოველივე ენგურს აქეთ ხდება, და მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა ხდება ენგურს იქით, სადაც ქართველი მოსახლეობა აბსოლუტურად დაუცველია.

პირქუში ვარაუდის საფუძველი უთუოდ გვაქვს. 14 თებერვალს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახურმა ასეთი განცხადება გაავრცელა:

„აფხაზთა ბანდიტურმა ფორმირებებმა კვლავ გააჩაღეს სადამსჯელო ოპერაციები გალის რაიონში. მათი პროვოკაციული გამოხდომები, რომლის დროსაც იყენებენ დივერსიულ-ტერორისტულ მეთოდებს, იწვევს ყოვლად უდანაშაულო ადამიანების დაღუპვას, ვითარების დესტაბილიზაციასა და მძევლების აყვანას. სამწუხაროდ, სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენელთა ეს ქმედება ხდება კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის თანხმობითა და მხარდაჭერით, რომელიც ჩაურევლობის პოზიციას ადგას, როცა საქმე აფხაზურ მხარეს ეხება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახური რუსეთის სამშვიდობო ძალებისაგან კიდევ ერთხელ ითხოვს: დაიცვან ნეიტრალიტეტი თავიანთი მოქმედების დროს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ნათლიმამური ურთიერთობა კრიმინალურ რეჟიმთან, შეასრულონ თავიანთი უშუალო მოვალეობა დასახული ამოცანების თანახმად. სხვაგვარად მათი ყოფნა კონფლიქტის ზონაში უაზროა“.

დაბოლოს, ერთი მომენტიც. მართალია იგი სამშვიდობო ძალებს არ ეხება, მაგრამ უაღრესად საყურადღებოა აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის არმიის მოსამსახურეთა განწყობის დასაკვალიანებლად.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების მიერ 19 იანვარს მოსკოვში მიღებულმა გადაწყვეტილებამ აფხაზეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკადის შესახებ, მარტო სეპარატისტთა უკმაყოფილება როდი გამოიწვია. მათს მფარველთა შორის აღმოჩნდა რუსეთის 345-ე საჰაერო-სადესანტო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი კაპუსტინიც. ამა წლის 5 თებერვალს გუდაუთის რაიონის „აქტივსა“ და მცხოვრებლებთან გამართულ შეხვედრაზე, მან გაილაშქრა დანაშაულებრივი რეჟიმის იზოლაციის მიზნით მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ. „პირადი შემადგენლობა, მათ შორის, პოლკის ოფიცრებიც, — განაცხადა კაპუსტინმა, — მხარს არ უჭერენ მიღებულ გადაწყვეტილებას, მოითხოვენ სანქციათა დაუყოვნებელ გაუქმებას, ისინი ყველაფერს იღონებენ სამიტის გადაწყვეტილებათა შესრულების ბლოკირებისათვის“.

გაოცება და პროტესტი გეუფლება რუსეთის არმიის პოლკოვნიკის ასეთი პოზიციის გამო, რომელიც უგულებელყოფს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურებისა და რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებებს.

უმოქმედო არმია იხრწნება.

ალბათ, მართლაც მორგებული განსაზღვრაა.

ახლა მუშავდება სამშვიდობო ძალების ახალი მანდატი, ახალი ფუნქციები — შეიძლება მათ დაეკისროთ პოლიციის ფუნქციები, შეიძლება შეიქმნას კომენდატურები. ნუ იდგებიან უსაქმოდ, იმოქმედონ. ჩვენ გვჭირდება ძალა, რომელიც გარანტიას შეუქმნის ადამიანთა უსაფრთხო დაბრუნებასო, — ითქვა ზემოთ ნახსენებ ინტერვიუში.

ფაქტია, რომ ასე უსაქმოდ დგომით, უფრო სწორად, აგრესიული უმოქმედობით, რუსეთის სამშვიდობო ძალები სარგებლობას აშკარად ვეღარ მოიტანს, იმასაც ქარს გაატანს, რაც აქამდე კარგი გაუკეთებია.

ალეკო ასლანიშვილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

დაბნეულობა რუსეთის დემოკრატიულ-რეფორმატორულ ძალებში

რაც უფრო ახლოვდება რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი — 16 ივნისი ქვეყნის ისედაც დაქსაქსულ დემოკრატიულ პარტიებსა და საზოგადოებრივ მოძრაობათა შორის სულ უფრო მეტი დაბნეულობა შეიმჩნევა. მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ორშაბათს რუსეთის ათი დემოკრატიული პარტიისა და საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერი ყველა რუსეთელისადმი მიმართვით გამოვიდა. მათ რუსეთელებს აუწყეს საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში მოქმედების კოორდინაციის მიზნით კონსულტაციების დაწყება. მიმართვაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილი აქვთ წინააღუდგნენ ქვეყანაში ტოტალიტარიზმის საშიშროებას. ამ დოკუმენტის ხელმომწერთა შორის არიან „რუსეთის დემოკრატიული არჩევანის“ ლიდერი ეგორ გაიდარი, რეფორმატორულ-დემოკრატიული ბლოკის „იაბლოკოს“ ლიდერი გრიგოლ იავლინსკი, „ვპერიოდ როსიის“ ლიდერი ბორის ფედოროვი. მიმართვის ერთ-ერთი ავტორის, რესპუბლიკური პარტიის ლიდერის ვლადიმერ ლისენკოს განცხადებით, მთავარ მიზნად ისინი დემოკრატების ერთიანი კანდიდატის შერჩევას ისახავენ. საამისოდ აპირებენ ქვეყნის მთელი პროგრესული ძალების ყრილობის გამართვას 15 აპრილის შემდეგ, როცა რეგისტრაციაში გატარდება პრეზიდენტობის ყველა შესაძლო კანდიდატი. დღეისათვის 55-მა საარჩევნო-საინიციატივო ჯგუფმა პრეზიდენტობის პოსტზე 48 კანდიდატი დაასახელა, საინიციატივო ჯგუფების შერჩევა გრძელდება და უნდა ველოდოთ, რომ კიდევ რამდენიმე კანდიდატს დაასახელებენ. 8 საინიციატივო ჯგუფმა პრეზიდენტ ბორის ელცინის კანდიდატურა წამოაყენა. დემოკრატიული რუსეთის მოძრაობა, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, არ აპირებს ბორის ელცინის კანდიდატურის მხარდაჭერას. მათი აზრით, იგი არც რეფორმატორებს და არც დემოკრატ კანდიდატთა შორის არ შეიძლება ფიგურირებდეს.

მოსკოვში დამფუძნებელ ყრილობაზე შეიქმნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „სოციალ-დემოკრატები“, მისი თავმჯდომარე გახდა დემოკრატიული რეფორმების მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი გავრილ პოპოვი, როგორც აცხადებენ, ახალი მოძრაობა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მასობრივი „სოციალ-დემოკრატიული პარტიის“ შექმნას, რაც, რბილად რომ ვთქვათ, დაგვიანებულად გამოიყურება კარზე მომდგარი საპრეზიდენტო არჩევნების და დემოკრატიულ და რეფორმატორულ ძალთა დაქსაქსულობა-დაპირისპირების ვითარებაში, როცა ქვეყანაში უმძიმესი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობისა და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო გრძელდება ეკონომიკის დაქვეითება, კომუნისტურმა და პროკომუნისტურმა ძალებმა შეძლეს თავიანთ სასარგებლოდ ზემოქმედება მოეხდინათ მოსახლეობის მნიშვნელოვან ფენებზე. რუსეთიდან კვლავ მილიარდობით დოლარი გაედინება, ხოლო უცხოური ინვესტიციების მოზღვავებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

გავრილ პოპოვი მთავარ ამოცანად ამჟამინდელი რეფორმატორული სტრატეგიის ახლით შეცვლას მიიჩნევს, რაც „ეფექტიან ეკონომიკაზე გადასვლას მოსახლეობის სოციალურ მხარდაჭერას შეუხამებდა“. ე. ი. იმის გაკეთებას, რაც ვერ შეძლო პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ჩერნომირდინის მთავრობამ. პოპოვმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატები საპრეზიდენტო არჩევნებში იმ შემთხვევაში დაუჭერენ მხარს სახელმწიფოს მეთაურს, თუ იგი სათანადო ცვლილებებს შეიტანს რეფორმების პოლიტიკაში, რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

ირაკლი ჯაფარიძე.

რატომ და როგორ დაიღვარა სისხლი ინგუშეთში?

ინგუშეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე კოლონის გავლა ხორციელდებოდა კანონიერ საფუძვლებზე — იგი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაა. საბრძოლო ამოცანის შესრულებისას ვმოქმედებდი რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის შესაბამისად და ახსნა-განმარტება, თუ საით და რისთვის მიდიოდა სამარშო კოლონა, მოვალე ვარ მივცე მხოლოდ შესაბამის ინსტანციებს“, — განაცხადა იტარ-ტასის კორესპონდენტთან საუბარში 58-ე არმიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა გენადი ტროშევმა. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ამგვარი სიტუაცია უკვე შეიმჩნეოდა 1994 წლის დეკემბერში, როცა დუდაევის ბოევიკთა განიარაღებისათვის ჩეჩნეთში ფედერალური ჯარები შეიყვანეს. მაშინ ადგილობრივმა მოსახლეობამ არ გაატარა სამხედრო კოლონები ინგუშეთის ტერიტორიაზე, იყო მსხვერპლი სამხედრო მოსამსახურეთა შორის, განადგურდა საბრძოლო ტექნიკა.

ქალაქ ვლადიკავკაზში მდებარე 58-ე არმიის შტაბის შენობის ფასადზე დაშვებულია ძაძით მოსილი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დროშა: ინგუშეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს დაიღუპნენ მოტომსროლელი ბატალიონის მეთაური პოდპოლკოვნიკი ედუარდ თინიკაშვილი და 13 რუსი ჯარისკაცი, დაჭრილია ფედერალური ჯარების 20 სამხედრო მოსამსახურე.

მაინც რა მოხდა სინამდვილეში ინგუშეთის სოფლების არშტისა და გალაშკის რაიონში, სადაც მიდიოდა 58-ე არმიის მოტომსროლელი ბატალიონის საბრძოლო ტექნიკის კოლონა?

შეეხო რა მშვიდობიან მოსახლეობას შორის მსხვერპლის შესახებ ინგუშეთის ხელმძღვანელობის ცნობებს, გენადი ტროშევმა შენიშნა, რომ საომარი მოქმედება მიმდინარეობდა სოფელ არშტის მიდამოებში, აქ მოკლეს სამი კაცი. გარდა ამისა, დოკუმენტები და კამუფლაჟის ფორმა, რომელიც დახოცილებს ეცვათ, მოწმობს, რომ ისინი ჩეჩენ ბოევიკებს განეკუთვნებოდნენ. ზოგიერთი მონაცემებით, მათი რიცხვი აქ 200-300 კაცი იყო.

როგორც გენადი ტროშევმა თქვა, ბრძოლა ინგუშეთის სოფლების მახლობლად ორ დღე-ლამეს მიმდინარეობდა. სამხედრო მოქალაქეებმა ნამდვილი ვაჟკაცობა და გმირობა გამოიჩინეს, მაგრამ, არმიის სარდალს ებადება კანონიერი კითხვა, რატომ იღუპებიან რუსეთის სამხედრო მოსამსახურენი თავიანთსავე, რუსეთის ტერიტორიაზე.

დაღუპულ ჯარისკაცთა მშობლები მოითხოვენ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ინგუშეთის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომელმაც თავის ტერიტორიაზე დუდაეველთა ბოევიკები დაუშვა და მათი ხელით იმათი შვილები დაიღუპნენ.

უპასუხა რა კითხვას, არის თუ არა ინგუშეთის ტერიტორიაზე დუდაევის ბოევიკთა მომზადების სპეციალური ბანაკი, გენადი ტროშევმა განაცხადა: დაზვერვის მონაცემებით, სპეციალური ბანაკები, როგორც ასეთი, არ არის, მაგრამ ზოგიერთი ბოევიკი როგორც დაჭრილი და ლტოლვილი გადადის ინგუშეთში და, როგორც ჩანს ერთიანდება საბრძოლო-სადივერსიო ჯგუფებში, 58-ე არმიის სარდალმა დაადასტურა, რომ მან დანიშნა ინგუშეთის ტერიტორიაზე მოვლენათა სამსახურებრივი გამოძიება და თქვა, რომ ოფიციალურ განცხადებას გაუგზავნის რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთ საშუალებას, რომელთა ინფორმაციებს წინააღმდეგობრივი და დამახინჯებული ხასიათი ჰქონდათ.

პრობლემა

„ფერმერული“ კანონი,

ანუ რამდენჯერ შეიძლება წელიწადში იანვრის ხელფასის დაბეგვრა?

კანონი „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა 1993 წლის 24 დეკემბერს მიიღო (პარლამენტის დადგენილება № 384-ს). იგი 1994 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა, მისი გამოყენების თაობაზე შემუშავდა ინსტრუქცია № 4, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ 1994 წლის 12 აპრილს გაატარა რეგისტრაციაში (რეგისტრაციის № 2). კანონიც და ინსტრუქციაც ნათარგმნია უცხოური „ფერმერული“ ტიპის კანონიდან (თუ წაიკითხავთ, დარწმუნდებით). უცნაურია, კანონში არსად არ არის ნახმარი სიტყვები „ნაზარდი ჯამი“, ინსტრუქცია კი პირდაპირ ნაზარდი ჯამით „მუშაობს“. კანონში მოცემულია სკალა, სადაც მითითებულია კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი და საბეგრი შემოსავლის ოდენობა — 10 მილიონ კუპონამდე (12 პროცენტი), 20 მილიონამდე (15 პროცენტი) 30 მილიონამდე (17 პროცენტი), 30 მილიონზე ზევით (20 პროცენტი). აღსანიშნავია, როდესაც ეს „ფერმერული“ კანონი მუშავდებოდა, იმ პერიოდში ერთი მუშაკის მაქსიმალური ხელფასი 50 ათასი კუპონი იყო...

მივყვეთ მსვლელობას. ინსტრუქციის მიხედვით, ერთი მუშაკის ხელფასი იბეგრება ნაზარდი ჯამით, რაც იმას ნიშნავს, რომ იანვრის ხელფასი წლის განმავლობაში 12-ჯერ იბეგრება, თებერვლისა 11-ჯერ, მარტისა — 10-ჯერ, და ა. შ. მკითხველისათვის უფრო ნათელი რომ გახდეს, გავაანალიზოთ რას ნიშნავს ეს: 1995 წლის ივნისში მუშაკი, რომლის თვიური ხელფასი 20 ლარი იყო (იმ პერიოდში 20 მილიონი კუპონი) კანონისა და ინსტრუქციის გამოყენებით შემდეგნაირად დაიბეგრა: იანგარიშეს ექვსი თვის ხელფასი, რამაც შეადგინა 120 ლარი, გამოაკლეს ექვსი თვის დაუბეგრავი მინიმუმი — 18 ლარი (იმ პერიოდში 3 მილიონი კუპონი, ანუ 3 ლარი) მიიღეს 102 ლარი. 102 ლარს კანონში მოცემული სკალის მიხედვით გამოაკლეს 30 ლარი და მიიღეს 72 ლარი. მითითებული სკალის მიხედვით დაიანგარიშეს ამ თანხის 20 პროცენტი (30 ლარზე მეტი იბეგრება 20 პროცენტით) და გამოვიდა 14 ლარი და 40 თეთრი. ამას დაუმატეს 30 ლარამდე გადასახდელი 4 ლარი და 40 თეთრი, (ამასაც ეს სკალა ითვალისწინებს), მიიღეს 18,80 ლარი. ინსტრუქციის მიხედვით, 18 ლარსა და 80 თეთრს უნდა გამოაკლდეს წინა თვეებში ასეთივე გაანგარიშებით დაქვითული თანხა — 15 ლარი და 40 თეთრი. ე. ი. ივნისში საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 20 პროცენტი (3 ლარი და 40 თეთრი), რაც 20 ლარი ხელფასის პირობებში მაქსიმალური გადასახადია. კანონის თანახმად კი მაქსიმალური დაბეგვრა 30 ლარის ზევით უნდა ამოქმედებულიყო. აი, ასეთი მახინჯი ინსტრუქციით მაქსიმალურ გადასახადს იღებენ ისედაც უხელფასობით დატანჯული ხალხიდან (განა დღეს 8 ლარს ხელფასი შეიძლება ეწოდოს?). ასეთი სკალით ნაზარდმა ჯამმა თებერვალში უკვე 17 პროცენტს მიაღწია. ასე მოხდა უკანონობის დაკანონება. ამიტომაც კანონში უნდა შეიცვალოს სკალა და მას შეუსაბამდეს იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული ინსტრუქცია.

ეს საკითხი სად აღარ დავაყენეთ, შევაწუხეთ წინა პარლამენტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაურის აპარატში, პარლამენტში, გვპირდებოდნენ შეიცვლებოდა სკალაც და ინსტრუქციაც, მაგრამ ეს არ გაკეთდა.

და ასეთი მახინჯი ინსტრუქციით დაბეგვრა ხდება იმ დროს, როცა ჩვენი მთავრობა იბრძვის სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ხელშეკრულებების დროს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისათვის. სად გაგონილა **ხალხს იანვრის თვეში მიღებულ ხელფასს (თუ 10 ლარს ხელფასს დავარქმევთ) წელიწადში 12-ჯერ უბეგრავდნენ? ვიანგარიშოთ: წელიწადში 12 თვეა, იანვრის ხელფასი 12-ჯერ დაიბეგრა, თებერვლის 11-ჯერ, მარტის 10-ჯერ და ა. შ. ერთი და იგივე საცოდავი 10 ლარი წელიწადში 78-ჯერ დაიბეგრა.**

ცნობისათვის ვიტყვი, რომ 1992 წლის ანგარიშში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთლიან შემოსავლებში ხელფასებიდან საშემოსავლო გადასახადს ეჭირა 3,6 პროცენტი (როცა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ასე თუ ისე გამართულად მუშაობდა) 1996 წლის ბიუჯეტის პროექტში კი შემოსავლებში გრანტების (უცხოური დახმარებების) გარეშე საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 7,8 პროცენტს), ესე იგი, იმ პერიოდთან შედარებით 2-ჯერ და უფრო მეტს, ეს მაშინ, როცა საქართველოს სახალხო მეურნეობა დღეს პარალიზებულია და ხელფასების დონე და მისი მსყიდველობითი უნარიც ნოლამდეა დასული.

საკვირველია, ასეთი კანონებისა და ინსტრუქციების შემდეგ სული როგორღა გვიდგას?

ნელი გლუნჩაძე,

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საფინანსო სისტემისა და მონეტარული პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

რედაქციისაგან: აქ დასმული პრობლემა მართლაც საგანგაშოა, საკითხავია, ვის აძლევს ხელს დაბეგვრის ასეთი სისტემა? ადამიანის უფლებების დარღვევაში მარტო უკანონო დაპატიმრებებს, პოლიტიკური შეხედულებებისათვის დევნასა თუ სხვა ამგვარ ქმედებებს ხომ არ უნდა ვხედავდეთ? ვფიქრობთ ამ ყველასათვის საჭირბოროტო საკითხს გამოეხმაურებიან ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, კონტროლის პალატა, იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები.

UNOMIG МООННГ

UNITED NATIONS OBSERVER MISSION IN GEORGIA МИССИЯ ООН ПО НАБЛЮДЕНИЮ В ГРУЗИИ

The United Nations Observer Mission in Georgia (UNOMIG) is searching for candidates to fill the following two LGSLD (Local General Service Limited Duration) positions in its Tbilisi Office:

1. Administrative Assistant/Interpreter - liaison interpretation and document translation English, Russian and Georgian; Administrative work; driver's license required. **Qualifications** - university graduate with interpretation and administrative experience. Fluent in English, Russian and Georgian. Computer literate Word Perfect, Quatro Pro and Paradox and Russian and Georgian keyboards. **Salary** - minimum is GSL-5 level ($3863 net per annum). 30 days per year leave, contributory medical insurance and pension.

2. Receptionist/Office Assistant - answering the telephone and meeting guests. Typing in English, Russian and Georgian in Word Perfect and filing of letters and documents. **Qualifications** - university graduate fluent in English, Russian and Georgian with secretarial work experience. Knowledge of Word Perfect and Russian and Georgian keyboards required. **Salary** - minimum is GSL-3 level ($2821 net per annum). 30 days per year leave, contributory medical insurance and pension.

Persons interested in applying for these positions should contact Mr. Frank Hallahan, Administrative Officer, UNOMIG Tbilisi HQ, House No. 8 First Blind Alley, Zemo Vedzisi, Tbilisi, telephone and facsimile (995 32) 997833

და ისევ „ფანასკერტელზე“



დიდი ქართველი მედიკოსის ზაზა ფანასკერტელის სახელობის სასწავლო-შემეცნებით და სამკურნალო-სადიაგნოზო გაერთიანება „ფანასკერტელს“ 1988 წელს საფუძველი ჩაუყარა ბატონმა გურამ ხაჭაპურიძემ. დღეს აბიტურიენტთა და პაციენტთა განკარგულებაშია სამედიცინო კოლეჯი, სამედიცინო ინსტიტუტი და სამკურნალო-სადიაგნოზო გაერთიანება „ფანასკერტელი“.

სამედიცინო კოლეჯის სამივე კურსზე 300 სტუდენტი სწავლობს. ეს კოლეჯი ორსაფეხურიანი სამედიცინო განათლების პირველი საფეხურია. ამიტომ აქ II და III კურსის სასწავლო გეგმა ისეა შედგენილი, რომ კოლეჯის სტუდენტები სწავლობენ სამედიცინო ინსტიტუტის I კურსის საგნებს.

ამიტომ ვინც ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო კოლეჯს წარმატებით დაამთავრებს, ის პირდაპირ ჩაირიცხება ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის II კურსზე;

სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია მოთავსებულია განათლების სამინისტროს II კორპუსის მეორე სართულზე (უზნაძის ქ. № 68, ყოფილი კამოს ქუჩა). მისი კლინიკური ბაზები განლაგებულია ქალაქის ცენტრში მდებარე საავადმყოფოებში. პროფესორები და აკადემიკოსები, რომლებიც ამ ინსტიტუტს ლექტორებად ჰყავს მოწვეული, ქართული სამედიცინო მეცნიერების წამყვანი სპეციალისტები არიან. მათ სათავეში უდგას სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი გურამ რცხილაძე. იგი წლების მანძილზე მუშაობდა სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანად, ა. ალადაშვილის სახელობის კლინიკის ხელმძღვანელად და სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიის კათედრის გამგედ. იგი ბრწყინვალე კლინიცისტია, ბრწყინვალე პედაგოგიც და სამედიცინო განათლების ორგანიზატორიც. ამიტომაც ვერავის შეაქვს ეჭვი მის მიერ შედგენილი სასწავლო გეგმების სისწორეში.

სწორედ ამ წამყვანი პროფესორებისა და აკადემიკოსების ავტორიტეტმა მოიზიდა ზ. ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტში 108 აბიტურიენტი. მისაღები გამოცდების შემდეგ, მხოლოდ ცოდნის მაღალი დონის მქონე 72 სტუდენტი ჩაირიცხა. მათ უკვე წარმატებით დაამთავრეს სწავლის I კურსის I სემესტრი. ყოველივე ამაზე დიდი მსჯელობა იყო სამედიცინო ინსტიტუტის და სამედიცინო კოლეჯის სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც ინსტიტუტის პრეზენტაციასთან ერთად გაიმართა რკინიგზის დეპარტამენტის კულტურის სასახლეში. აქ გავეცანით ზ. ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის განსაკუთრებულობას; გავიგეთ, რომ I კურსზე, ყველა სხვა სამედიცინო ინსტიტუტისაგან განსხვავებით, აქ გადიან მეტად საჭირო დამატებით საგნებს. ამ საკითხს თავიანთ მოხსენებებსა და გამოსვლებში ხაზი გაუსვეს ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროების წარმომადგენლებმა: ჯანგირ მამალაძემ, მზია წიკლაურმა, გურამ ცინცაძემ, გურამ რცხილაძემ, გურამ ხაჭაპურიძემ და კონფერენციის სტუმარმა ბატონმა ლევან სანიკიძემ.

კონფერენციაზე შექმნილმა საქმიანმა და თბილმა ატმოსფერომ, სტუდენტებისა და მშობლების კმაყოფილმა სახეებმა, სტიმული მოგვცა „ფანასკერტელის“ საქმიანობის უფრო ღრმად გასაცნობადაც და ამ წერილის დასაწერადაც. მივმართეთ ბატონ გურამ რცხილაძეს. მან თქვა:

მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ დღეს წარმატებით ფუნქციონირებენ ჩვენი სამედიცინო კოლეჯი და ინსტიტუტი. ამ დღეებში „ფანასკერტელი“ აწყობს მისი სამკურნალო-სადიაგნოზო გაერთიანების ახალსახლობას, რომელიც განლაგდება თ. ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკის) ქუჩის № 13-ში მდებარე კაპიტალურ ნაგებობაში. აქ თერაპიულ ავადმყოფებს მე მივიღებ, ნევროზიან ავადმყოფებს უმკურნალებს თბილისში ერთადერთი ნევროზოლოგი — მამუკა მაკარიძე, ფილტვებით დაავადებულ პაციენტებს, — დოცენტი ვლადიმერ ვოლობუევი, გულით ავადმყოფებს — ყოფილი მე-4 სამმართველოს მუდმივი კარდიოლოგი ეთერ ჯანაშია, ალერგოლოგიური და იმუნოლოგიური კაბინეტის კონსულტანტები არიან აკადემიკოსები გურამ გურგენიძე და ნოდარ მგალობლიშვილი, ყელ-ყურის სპეციალისტია დოცენტი ნუკრი ნემსიწვერიძე, ჩინური ნემსთერაპიის და სექსუალური რეაბილიტაციის კაბინეტს ხელმძღვანელობს პროფესორი გურამ ხაჭაპურიძე, უროლოგიის კაბინეტს — პროფესორი ვახტანგ ცინცაძე, სადაც განსაკუთრებულ ყურადღება მიექცევა პროსტატის დაავადებებს. ოკულისტი და ირიდო-დიაგნოსტიკ ვალერიან ხუროძე, რომელმაც საქართველოში პირველმა დანერგა კომპიუტერული ექსპრეს-დიაგნოსტიკა.

ხალხური ფიტოთერაპიის კაბინეტში მუშაობენ ცნობილი მკურნალები: ცირა მენთეშაშვილი, წამალ „სალხინოს“ შემქმნელი როინ ნაჭყებია, თმისა და თავის კანის მკურნალი ცისანა მჭედლიძე, კუჭის წყლულისა — თენგიზ ჯაჯვაძე, კოლიტების სპეციალისტი მიხეილ სუმბაძე და სხვანი.

ალტერნატიული მედიცინის განყოფილებაში მოწვეულნი არი-

(დასასრული მე-4 გვ.).

პარლამენტის ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

მიენიჭებათ ბაკალავრისა და მაგისტრის წოდება

საქართველო-საფრანგეთის უმაღლესი სასწავლო დაწესებულება — მართვის ევროპული უმაღლესი სკოლა — „ესმ“, რომელიც შექმნილია ედუარდ შევარდნაძის ფონდის „დემოკრატია და აღორძინების“ აქტიური მონაწილეობით, შედის „ესმ — ინტერნაციონალის“ კერძო უნივერსიტეტების ევროპულ ქსელში. წინათ იგი უფლებამოსილი იყო გაეცა საერთაშორისო დიპლომები, რომლებსაც ჰქონდათ იურიდიული ძალა და აღიარება ევროპულ გაერთიანებაში შემავალ ყველა ქვეყანაში.

შარშან დეკემბრიდან „ესმ — ინტერნაციონალმა“ დადო ხელშეკრულება ამერიკის შეერთებული შტატების პრესტონის უნივერსიტეტთან, რომლის თანახმად, მართვის ევროპული უმაღლესი სკოლის სტუდენტები, ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ისინი არსებობენ, მათ შორის, საქართველოშიც, მიიღებენ პრესტონის უნივერსიტეტის ბაკალავრის დიპლომს, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში ან იმ ქვეყანაში, სადაც სტუდენტი სწავლობს, სპეციალური სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ — საქმიანი ადმინისტრირების მაგისტრის დიპლომს.

თბილისში მართვის ევროპულმა უმაღლესმა სკოლამ ეს უფლება მიიღო მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელდა ქართული უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სასწავლო გეგმების, სწავლების პირობებისა და პედაგოგების კვალიფიკაციის ანალიზი.

სიღარიბის ზღვარი შემცირდა

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, თებერვლის დამდეგისათვის სიღარიბის ზღვრის მაჩვენებელი გასულ თვესთან შედარებით, 12 პროცენტით შემცირდა. ნორმატიულმა მინიმალურმა ხელფასმა საშუალოდ ოჯახზე 57,4 ლარი შეადგინა.

შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ცხოვრების დონეში გარკვეული სტრუქტურული ძვრები მოხდა. კერძოდ, საოჯახო შემოსავალში მატულობს ხელფასის წილი (14-დან 24 პროცენტამდე). გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი (22-დან 26 პროცენტამდე). საერთო ხარჯებში შეინიშნება კვების პროდუქტებზე ხარჯების შემცირება.

ფასები მატულობს

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტის მონაცემებით, გასულ კვირას, წინა კვირასთან შედარებით, ფასების ზრდამ საშუალოდ 2-3 პროცენტი შეადგინა. სურსათი გაძვირდა 5,2 პროცენტით, მომსახურების ტარიფები — 2-3 პროცენტით, სტაბილურია არასასურსათო საქონლის ფასები.

ამრიგად, წინა კვირასთან შედარებით (1,1 პროცენტი) ფასების საერთო ინდექსმა 102,3 პროცენტი შეადგინა.

განხორციელდა მორიგი ოპერაცია.

1996 წლის 27 თებერვალს, თბილისში, დედაქალაქის პოლიციამ განახორციელა მორიგი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება.

ოპერაციის შედეგები დილის 10 საათიდან, საღამოს 22 საათამდე ასეთი იყო: დააკავეს 30 პირი, ბოროტმოქმედთა 6 ჯგუფი, 27 დანაშაულში ეჭვმიტანილი, გაიხსნა სისხლის სამართლის 32 დანაშაული, ჩამორთმეულია ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის, სხვადასხვა სისტემის პისტოლეტები, ტყვია-წამალი, ერთი ხელყუმბარა, [illegible], ჩამორთმეულია ნარკოტიკული ნივთიერება და გამოვლენილია ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტები.

საქინფორმი.

და ისევ „ფანასკერტელზე“



(დასასრული)

ან გამოჩენილი ექსტრასენსები: ისრაელის „დამპყრობი“ ნათელა იმერლიშვილი და უნიკალური სპეციალისტი მაია რამიშვილი, მანუალური თერაპიის სპეციალისტი სოსო ფოცხვერაშვილი და მასაჟის სპეციალისტი ფელიქს ლავიცკი.

დიაგნოზების დაზუსტება მოხდება უახლესი, „კომპიუტერული“ ექსპრეს-ირიდო-დიაგნოსტიკის, ექოსკოპიის, ელექტროკარდიოგრაფიისა და ლაბორატორიული გამოკვლევების საშუალებით. ეს კაბინეტები მუშაობენ ყოველდღე (გარდა კვირისა) 10 საათიდან 18 საათამდე. აპარატების მუშაობა არ შეფერხდება, — „ფანასკერტელს“ ენერგიის საკუთარი წყარო აქვს.

აქვეა გახსნილი კეთილმოწყობილი, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ლიცენზირებული სააფთიაქო მაღაზია, სადაც პაციენტები შეიძენენ ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ და პოლონურ მედიკამენტებს, ხალხური მედიცინის სამკურნალო საშუალებებს, სამედიცინო ტექნიკისა და სანჰიგიენურ საქონელს. გვაქვს ოპტიკის განყოფილება. პაციენტები ადგილზე შეიძენენ ოკულისტის მიერ შერჩეულ სათვალეს.

აფთიაქის წამლების მიტანა ბინაზეც შეიძლება.

ფრიად მნიშვნელოვანია „ფანასკერტელში“ ბინაზე დახმარების განყოფილების გახსნა. ამ განყოფილებას აქვს თავისი პორტატიული რენტგენოაპარატი და შინ მოხდება ყველა სახის რენტგენოლოგიური გამოკვლევა, რომელსაც ჩაატარებს ერთ-ერთი გამოცდილი ექიმი — რენტგენოლოგი რევაზ ლომსაძე. ასევე ბინაზე ჩატარდება ელექტროკარდიოგრაფია, ექოსკოპია, ლაბორატორიული გამოკვლევები, პროფესორთა კონსულტაციები და კონსილიუმები. განყოფილებას ჰყავს თავისი დისპეტჩერი და მორიგე ავტომანქანა.

ამ განყოფილების და, საერთოდ, განახლებული „ფანასკერტელის“ ორგანიზებაში დიდ დახმარებას გვიწევს ზ. ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის დეკანი სერგი საყვარელიძე.

და განა მარტო ეს? კიდევ ბევრი საჭირო სიახლე იქნება ამ ნამდვილ „ფანასკერტელში“, — დასძინა ბოლოს პროფესორმა გურამ რცხილაძემ. მთავარი მაინც ერთია: აქ უცვლელად გადმოვა იმ პირველად გახსნილი „ფანასკერტელის“ ჯანსაღი სული. ამას



ვუმადლით ყველასათვის საყვარელ ადამიანს, დიდი ნიჭის, მაღალი პროფესიონალიზმის და დაუშრეტელი ენერგიის მქონე პიროვნებას, სამედიცინო ინსტიტუტის და კოლეჯის ძირითად დამაარსებელს, პროფესორ გურამ ხაჭაპურიძეს.

ჩვენ გვინდა ორივე გურამს, — ხაჭაპურიძესა და რცხილაძეს გულით ვუსურვოთ ჯანმრთელი, დღეგრძელი სიცოცხლე. ყველასათვის ცხადია, რომ სწორედ მათ დღეგრძელობაზეა დამოკიდებული „ფანასკერტელის“ დღეგრძელობაც.

გონდო გულიაშვილი.

შეგახსენებთ „ფანასკერტელის“ მისამართებს:

1. „სამკურნალო-სადიაგნოზო გაერთიანება „ფანასკერტელი“ თავისი საავთიაქო მაღაზიით — თ. ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკის) ქუჩა №18, (ვერაზე, გამომცემლობა „სამშობლოს“ ზევით), ტ. 95-69-56.
2. ზ. ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტი — უზნაძის (ყოფილი კამოს) ქუჩა № 68, განათლების სამინისტროს მე-2 კორპუსის შენობაში. ტ. 95-69-56.
3. ზ. ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო კოლეჯი — კონსტიტუციის ქ. №6 (ფიზკულტურის ტექნიკუმის შენობაში, მეორე სართული) ტ. 95-72-86; 95-88-50.

იჩქარეთ, ზ. ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტმა და სამედიცინო კოლეჯმა უკვე დაიწყეს საბუთების მიღება 1996-97 სასწავლო წლისათვის.

მიმღები კომისია მუშაობს ამ სამედიცინო ინსტიტუტში, უზნაძის ქ. № 68, 10-დან 17 საათამდე. შეგიძლიათ, დარეკოთ: 95-69-56.

სალხინო ®

გთავაზობთ სიახლეს!

პრეპარატი „სალხინო“ ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური და ჩირქოვანი ანთებითი პროცესების საწინააღმდეგო ბუნებრივი სამკურნალო საშუალებაა. აპრობირებულია ათეულობით სხვადასხვა ქვეყნის კლინიკებში, რეგისტრირებულია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები საქართველოში და სხვა სახელმწიფოებში.

წამალი რეკომენდირებულია: მასტიტის, მასტოპათიის, პოლიადენიტის, პიელონეფრიტის, ქოლეცისტიტის, ჰეპატიტის, კოლიტის, გასტროენტერიტის, პერიადენიტის, ბრონქიტის, კანის ჩირქოვანი დაავადებების, ცისტიტის, პროსტატიტის, გინეკოლოგიური დაავადებების, სქესობრივი სისუსტის და სხვა ჩირქოვანი ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების დროს.

თუ პრეპარატს გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ პროფილაქტიკის მიზნით, თქვენ აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

პრეპარატი შეგიძლიათ შეიძინოთ ბითუმად და ცალობით მისამართზე: დავით აღმაშენებლის 115.

გთავაზობთ
საწერ, საბეჭდ და
ქსეროქსის
ქაღალდს
უნაღდო ანგარიშსწორებით,
ადგილზე მიწოდებით.
☎ 38-91-64; 39-84-05

გამოსათხოვარი

ალექსანდრე ბერიძე

საქართველოს ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი პიროვნება, ჭეშმარიტი მამულიშვილი, პროფესორი, გადამდგარი გენერალ-მაიორი **ალექსანდრე ბერიძე.**

ა. ბერიძე დაიბადა 1915 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში. 1937 წელს ა. ბერიძემ წარმატებით დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და დაინიშნა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის საშუალო სკოლის დირექტორად. 1940 წელს იგი მოხალისედ წავიდა არმიის რიგებში. ახალგაზრდა მეთაური სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნეს მოსკოვის სამხედრო-პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც მას მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა.

ა. ბერიძე მონაწილეობდა მოსკოვის დაცვის ბრძოლებში, როგორც ასეულის და შემდეგ ბატალიონის მეთაური. 1942 წლიდან იგი 865-ე მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილეა. მონაწილეობდა „კურსკის შვერილზე“ ისტორიულ ოპერაციაში.

1943 წლის ბოლოს პოდპოლკოვნიკი ა. ბერიძე ოფიცერთა გადამზადების კურსების უფროსად ინიშნება. იგი ბელორუსიის განთავისუფლების ცნობილი „ოპერაცია ბაგრატიონის“ აქტიური მონაწილეა. 1945 წლის იანვრიდან იგი მძიმე ჭრილობის მოშუშების შემდეგ ამიერკავკასიის ფრონტის ოფიცერთა გადასამზადებელი კურსების უფროსია.

1955 წელს ა. ბერიძემ დაამთავრა სამხედრო-პოლიტიკური აკადემია. სწავლის პერიოდში მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

გენერალ-მაიორი ა. ბერიძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს ვეტერანთა ორგანიზაციებს. მისი მონაწილეობით დაისტამბა ომის ვეტერანთა ისეთი კოლექტიური ნაშრომები, როგორიცაა: „ქართული დივიზიები დიდ სამამულო ომში“, „მრისხანე კავკასიონი“, „იმ ქარცეცხლიან დღეებში“, „გმირობის სიდიადე“ და სხვა.

ა. ბერიძე წლების მანძილზე სათავეში ედგა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიის სამხედრო მომზადების კათედრას. ნაყოფიერად მოღვაწეობდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოში, რესპუბლიკის პარლამენტში, ვეტერანთა კომისიაში, რომლის ინიციატივითა და ხელშეწყობით მომზადდა მთავრობის არაერთი დოკუმენტი ვეტერანთა ინტერესების დასაცავად.

ა. ბერიძის კალამს ეკუთვნის ათობით სამეცნიერო ნაშრომი, პუბლიცისტური სტატია, წერილი თანამემამულეთა მხედრული წარსულის, საბრძოლო დამსახურებისა და ეროვნული სამხედრო ტრადიციების აქტუალურ პრობლემებზე.

აქტიურად მონაწილეობდა ა. ბერიძე ქართული არმიის მეომართა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში. იგი გამოირჩეოდა როგორც პიროვნება, რომელსაც ახასიათებდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, საქმისა და ადამიანების სიყვარული.

ა. ბერიძე 28 საბრძოლო ორდენისა და მედლის კავალერია. ვეტერანთა მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი ალექსანდრე ბერიძე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით 1995 წლის 29 დეკემბერს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

ალექსანდრე ბერიძის ხსოვნა დარჩება მათ გულებში, ვინც იცნობდა და აფასებდა მის ადამიანურ ღირსებებს.

ე. შევარდნაძე, ზ. ჟვანია, ნ. ლეკიშვილი, ვ. ნადიბაიძე, ბ. მამრაძე, ნ. საჯაია, ო. ბოგიაშვილი, ბ. ნიკოლაიშვილი, გ. გვეტაძე, ჰ. ბეგენავა, ჯ. ზამბახიძე, თ. ლაშქარაშვილი, ო. ლეკვეიშვილი, ლ. მშვენიერაძე, გ. ციციშვილი, ზ. წერეთელი, გ. ჯაყელი.

კრიმინალი

კანონს პირველ რიგში პოლიციელი უნდა იცავდეს

19 თებერვალს ახალგორის რაიონის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ახალგორში მცხოვრები ბონდო შალვას ძე მაჭარაშვილი. პოლიციამ გაჩხრიკა მისი ბინა, სადაც აღმოაჩინეს ცეცხლსასროლი იარაღის 7 საბრძოლო ვაზნა და ხიშტი-დანა.

ამავე დილით მაჭარაშვილი მიიყვანეს ახალგორის პოლიციის განყოფილებაში, და, როგორც, დანაშაულში ეჭვმიტანილი, მოათავსეს წინასწარი დაკავების საკანში.

დაახლოებით 23 საათზე მაჭარაშვილს დაეწყო გულის შეტევები, რის გამოც იგი წაიყვანეს კასპის რაიონულ საავადმყოფოში, მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს პირადი შემადგენლობის ინსპექციის თანამშრომლებმა ჩაატარეს სამსახურეობრივი მოკვლევა, რის შედეგად დადგინდა, რომ ახალგორის პოლიციის მუშაკების მხრიდან მოქალაქე მაჭარაშვილის ბინის ჩხრეკისას და დაკავებისას დაშვებული იყო სხვადასხვა სახის უხეში პროცესუალური დარღვევები.

ამ აღმაშფოთებელ ფაქტს პრინციპული შეფასება მიეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის გამართულ საგანგებო სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი ჯემალ მიქელაძე. კოლეგიის გადაწყვეტილებით, არსებული მასალების საფუძველზე, ახალგორის პოლიციის განყოფილების უფროსი, პოლიციის ვიცეპოლკოვნიკი ნიკოლოზ ობგაიძე, პოლიციის უფროსის მოადგილე, პოლიციის კაპიტანი ავთანდილ თინიკაშვილი, ამავე განყოფილების უფროსი მორიგე ინსპექტორი, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი ივანე დოლიშვილი, მორიგის თანაშემწე, რიგითი ვეფხია ჩარიგოგლიშვილი და, ასევე, დუშეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლები (რომლებიც სამუშაოდ ახალგორის პოლიციაში გადმოდიოდნენ, მაგრამ ბრძანებით არ იყვნენ გაფორმებულნი) — სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი კახა ვერძეული და ნარკომანიასთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის ქვეგანყოფილების ინსპექტორი გიორგი ქავთარაძე გათავისუფლებული იქნენ დაკავებული თანამდებობებიდან.

მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელებს მკაცრად მიეთითათ დაქვემდებარებული დანაყოფების პირადი შემადგენლობის საქმიანობაზე კონტროლის შესუსტებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა აღნიშნული უკანონო ქმედება პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან.

მომხდართან დაკავშირებით მცხეთა-მთიანეთის რეგიონულმა პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

ვალერიან გოგოლაშვილი,
შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი.

გახსენება

გიორგი გადრიაშვილი

ჩვენო ლამაზო მამიკო! წელიწადნახევარია, რაც აღარ ახარებ შენს ოჯახს შენი შემოსვლით, 55 წლის გახდებოდი 27 თებერვალს! რა ახალგაზრდა წახვედი, ჩვენო საყვარელო მამა, ჩვენო გაუნელებელო ტკივილო! ავად რომ იყავი, სიზმარი ვნახე, 67 წლის ვიცოცხლებ; გულისწყვეტით თქვი: — რა არის 18 წელიწადი და რა იცოდი, 18 დღესაც რომ აღარ იცოცხლებდი, ჩვენო ძვირფასო! შენ ჩვენთან ხარ მუდამ, ჩვენს გულში, ჩვენს ხსოვნაში, შენი ახრდილი კი მფარველ ანგელოზივით დაგვყვება ყველგან, ჩვენო ლამაზო მამა! შენ არ მომკვდარხარ, როგორც ის ბევრს ჰგონია, ვისაც სულიერი [illegible] არ ახლია! ამ სიცოცხლიდან მარადიულ სიცოცხლეში გადახვედი, უფლის სასუფეველში! იქ ყოფნა რჩეულთა ხვედრია, ჩვენო ტკბილო და საყვარელო მამა!

შენი მერი,
შენი თინიკო.

ხსოვნა

მერი ჭაჭიაშვილი

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის (ყოფილი მე-4 სამმართველო — „ლეჩკომბინატის“) კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე დაწესებულების თერაპიული სამსახურის ხელმძღვანელი, ღვაწლმოსილი ექიმი, ქალბატონი
მერი ჭაჭიაშვილი

წავიდა ჩვენგან არაჩვეულებრივი პიროვნება, შესანიშნავი დედა, მეუღლე, მეგობარი, ხათრიანი და კეთილშობილი ადამიანი, ჭეშმარიტი პროფესიონალი.

წავიდა და დაგვიტოვა დიდი სევდა და გულისტკივილი.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს გამოთქვამენ მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის გამო და იზიარებენ განსვენებულის ოჯახის ღრმა მწუხარებას.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი.

მცხეთის რაიონის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს რაიონის გამგებელს არმაზ შამანაურს დედის
ნინო ვასილის ასულ ზაქაიძე-შარაშიძის
გარდაცვალების გამო.

ვორა ყურაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
მუხრან პორფილეს ძე კაკულია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ნანა ლაზიშვილი, შვილები ირაკლი, მაია დიასამიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
დურსუნ სულეიმანის ძე დიასამიძე

პანაშვიდი 29 II, 8 სთ., გამოსვენება 1 III, 1 სთ., ნუცუბიძის პლატო, III მიკრორაიონი, II კვარტალი, IX კორპუსი. პანაშვიდი 2 III, 5 სთ., ბათუმში, კობაბიძის, 6, დაკრძალვა 3 III, 4 სთ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი და თვალსაჩინო ეკონომისტი, პროფესორი
დურსუნ დიასამიძე
და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

დედა ციცინო ბაბუაძე, მამა ავთანდილი, და მაია, დეიდა ცეცილია ქსოვრელი, ბებიები დორა ებრალიძე, ლოლა ებანოიძე, ბიძები ტარიელ, კოტე ებრალიძეები, გიორგი ცინცაძე, კარლო ქსოვრელი, სიძე ზვიად დოლიძე, რძალი მაია შავთვალიშვილი, დეიდაშვილები ზაზა, მედეა ცინცაძეები, გიორგი ქსოვრელი, ბიძაშვილები მანანა, დავით, ოთარ, გიორგი ებრალიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ალექსანდრე (ალეკო) ავთანდილის ძე ებრალიძე

პანაშვიდი 1, 2 III, 4 სთ., გამოსვენება 3 III, 2 სთ., დოლიძის ქ. კორპ. 22, I სადარბაზო, ბინა 20.

ხსოვნა

პავლე ნორაკიძე

გარდაიცვალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების შტაბის უფროსი — სარდლის მოვალეობის შემსრულებელი, პოლკოვნიკი **პავლე დავითის ძე ნორაკიძე.**

1948 წელს დაიბადა ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა ქალაქ ორჯონიკიძის საკავშირო შინაგანი ჯარების სამხედრო სასწავლებელი. მოგვიანებით მიიღო უმაღლესი იურიდიული და პედაგოგიური განათლება.

1967 წლიდან მსახურობდა ქ. თბილისში დისლოცირებულ საკავშირო შინაგანი ჯარების სპეცმოტორიზებულ, განსაკუთრებული დანიშნულების სამხედრო ნაწილში. 1974 წლიდან — ამავე ჯარების დივიზიის შტაბში, სადაც საშტაბო და სამეთაურო პასუხსაგები თანამდებობები გაიარა.

1985 წელს ბატონი პავლე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში გადაიყვანეს, 1986-91 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში.

1991 წლის შემოდგომაზე, მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული ჯარი, პოლკოვნიკი პავლე ნორაკიძე, როგორც საქმის ღრმა მცოდნე და გამოცდილი ოფიცერი, მიწვეულ იქნა საქართველოს შინაგანი ჯარების მთავარ სამმართველოში სარდლის მოადგილედ. 1995 წლიდან კი — სარდლის პირველ მოადგილედ და მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსად, სადაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ასრულებდა უდიდესი მონდომებით, საქმის სიყვარულით. უდიდესია მისი ღვაწლი ქართული ეროვნული შინაგანი ჯარების შექმნისა და ფორმირების საქმეში.

პრინციპული და თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნე ოფიცერი თავის დროზე ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა სტიქიური უბედურების გამოძახილს სომხეთში, სვანეთში, აჭარაში და ერთ-ერთმა პირველთაგანმა საქმით აჩვენა სომეხ მეგობრებს თანადგომისა და მხარდაჭერის უსპეტაკესი მაგალითი, ღრმა ადამიანური ძალისხმევით გაუწოდა ხელი თავის ხალხს სვანეთისა და აჭარის სტიქიური მოვლენების დროს.

წავიდა ჩვენგან სამშობლოსათვის გულანთებული, თავისი ხალხის უსაზღვროდ მოყვარული, თავდაუზოგავი ჯარისკაცი, უანგარო პიროვნება, რომელსაც თავისი ცხოვრება სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად ჰქონდა მიტანილი, ერთგული მეუღლე, მოსიყვარულე მამა, შესანიშნავი მოქალაქე და უღალატო მეგობარი, უბადლო ვაჟკაცური სულის სილამაზით უხვად დაჯილდოებული კაცური კაცი.

პოლკოვნიკ პავლე ნორაკიძის ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრებისა და შინაგანი ჯარების მთელი პირადი შემადგენლობის ხსოვნაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო.

მუხრან კაკულია

მოულოდნელად გარდაიცვალა მარტვილის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე მუხრან პორფილეს ძე კაკულია. რესპუბლიკის მოსამართლეთა კორპუსმა დაკარგა მიუკერძოებლობითა და საქმის შესაშური ერთგულებით გამორჩეული კოლეგა, გამოცდილი პრაქტიკოსი და მაღალი ზნეობის პიროვნება.

მრავალმხრივი და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო მ. კაკულიამ. გლეხის ოჯახში დაბადებულმა და გაზრდილმა ახალგაზრდა კაცმა თავიდანვე შეიყვარა შრომა, როდესაც ენგურჰესის ძალოვანი კვანძის პირველმშენებელთა რიგებში ჩადგა. თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კი იგი კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს, სადაც თანასოფლელებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. როგორც განათლებულ და ერუდირებულ პიროვნებას, დიდი ნდობა გამოუცხადა მშობლიური რაიონის მოსახლეობამ — 1976 წელს მოსამართლედ აირჩიეს. ამ დღიდან სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა მოსამართლის რთულსა და პასუხსაგებ საქმეს და არასოდეს შეურცხვენია პროფესიონალი იურისტის სახელი.

მარტვილის რაიონს დააკლდა ერთი სხვებისაგან გამორჩეული კაცი, იურისტებს — კარგი სპეციალისტი, ხოლო ოჯახს — ერთგული მეუღლე და მამა.

მუხრან კაკულიას სახელი მარად დაუვიწყარი იქნება მისი მეგობრების, კოლეგებისა და ახლობლებისათვის, — ყველასათვის, ვინც კი მას იცნობდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
მარტვილის რაიონის სასამართლო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ხელმძღვანელობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შინაგანი ჯარების შტაბის უფროსი — სარდლის მოვალეობის შემსრულებელი, პოლკოვნიკი
პავლე დავითის ძე ნორაკიძე

პანაშვიდი 1,2 III, 4 სთ., ქავთარაძის 25, კორპ. 4, გამოსვენება 3 III, 2 სთ., თავდაცვის სამინისტროს ოფიცერთა სახახლიდან. ვაჟა-ფშაველას გამზ. № 48 (მეტრო „გოცირიძე“).

ხსოვნა

არკადი მარტიროსოვი

მოულოდნელად გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ორდენების და მედლების კავალერი, სახელმწიფო უშიშროების ვეტერანი და ამავე ორგანოების საპატიო თანამშრომელი, გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკი **არკადი გრიგორის ძე მარტიროსოვი.**

არკადი მარტიროსოვი დაიბადა ქ. თბილისში 1917 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტში, რომლის დამთავრებისთანავე იყო მობილიზებული სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში სამუშაოდ. არკადი მარტიროსოვი იყო დიდი გამოცდილების და მაღალი კვალიფიკაციის ოფიცერი. იგი გამოირჩეოდა დიდი ერუდიციით, მაღალი მორალური ზნეობით, საქმის ერთგულებით, რითაც დაიმსახურა დიდი პატივისცემა კოლეგებში. მან სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში განვლო რთული, შრომატევადი გზა რიგითი ოპერატიული თანამშრომლიდან ცენტრალური აპარატის ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკამდე. 1978 წელს იგი გავიდა პენსიაზე და მუშაობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოში პასუხსაგებ თანამდებობაზე.

სადაც არ უმსახურია არკადი მარტიროსოვს, იგი საქმის ცოდნით გამოირჩეოდა, თავისი კომპეტენტურობით იმსახურებდა პატივისცემას. მას უყვარდა საქართველო, იყო ნამდვილი თბილისელი და ქვეყნის დიდი პატრიოტი.

წავიდა ჩვენგან ძვირფასი პიროვნება და დატოვა ნათელი კვალი მისი მეგობრებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო;
სახელმწიფო უშიშროების ვეტერანთა საბჭო.

ბადრი თხილაიშვილი

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა: 48 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ჯანმრთელობის დაცვის ნიჭიერი ორგანიზატორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე **ბადრი ალექსანდრეს ძე თხილაიშვილი.**

მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, მან მრავალმხრივ საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. 1973 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაიწყო ბადრი თხილაიშვილის პროფესიული საქმიანობა. 1974-1975 წლებში ახალგაზრდა ექიმი ინიშნება ლენინგრადის სამხედრო ოლქის სამედიცინო პუნქტის უფროსად. შემდეგ იგი მოსკოვის სამხედრო ოლქის ქირურგიული განყოფილების ექიმი-ორდინატორია. 1976-1979 წლებში ბადრი თხილაიშვილი მუშაობს საქართველოს საზღვაო სანაოსნო სისტემაში ექიმად. 1979-1986 წლებში მას, როგორც უკვე გამოცდილ ორგანიზატორს, აწინაურებენ ქალაქ ბათუმის № 1 საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ, ხოლო შემდეგ — მთავარ ექიმად. 1987 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეა. ამ წლებში განსაკუთრებით გამოვლინდა მისი, როგორც ჯანმრთელობის დაცვის ახალგაზრდა ორგანიზატორის შემოქმედებითი შესაძლებლობანი აჭარის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საქმეში, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებში იგი მთელი მონდომებით იღვწოდა ჩვენს ქვეყანაში სამედიცინო რეფორმების ეფექტურად გატარებისათვის.

ბატონი ბადრი, გარდა პროფესიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, იყო ჭეშმარიტი მამულიშვილი, პატრიოტი. გაჭირვებულთა მხარდამხარ დგომა იყო მისი მოწოდება და ამიტომ სარგებლობდა იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით.

წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ჭეშმარიტი მაგალითი იყო ქვეყნის, მშობელი ხალხის, პროფესიისადმი ერთგულებისა და თავდადებისა.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჯანმრთელობის დაცვის აღიარებული ორგანიზატორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე
ბადრი ალექსანდრეს ძე თხილაიშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მორიგე რედაქტორი [illegible]

გამომცემელი — შპს „პრესა“
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66484. ტელ.: 99-70-84. მთავარი რედაქტორი მურამ ბოჭიაშვილი.